F 1959

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

კრებული

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

10

ოქტომბერი

თბილისი—1959

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

№ 900

1959 წლის 6 აგვისტო

საბავშვო სახლებში 1959 წლის II კვარტალში ჩატარებული შემოწმების შედეგების შესახებ

F 2233

საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილების მიერ მიმდინარე წლის მეორე კვარტალში შემოწმებულია სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა: ბორჯომის, გეგეჭკორის, კასპის, რუსთავის, საჩხერის, შუამთის, ნორიოს, კოჯრის მე-3, მე-4 და მე-5 საბავშვო სახლებში. დოკუმენტური რევიზია ჩატარდა: გეგეჭკორის, ბორჯომის, კასპის, შუამთის, ვაკის, საჩხერის, თელავის, რუსთავის, ნორიოს და კოჯრის მე-5 საბავშვო სახლებში.

შემოწმებული საბავშვო სახლებიდან სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა კარგადაა დაყენებული კასპისა და კოჯრის მე-5 საბავშვო სახლებში. მათ სამუშაო გეგმებში ასახულია სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ძირითადი საკითხები, ტარდება მეთოდური თათბირები და ღია მეცადინეობები. დირექტორები და სასწავლო-საალმზრდელო ნაწილის გამგეები ესწრებიან მეცადინეობას საალმზრდელო ჯგუფებში და აძლევენ საჭირო მითითებებს. სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული ბავშვთა ორგანიზაციების მუშაობა. ყურადღება ეთმობა შრომითი სწავლების საქმეს. ბავშვებში დანერგილია შრომითი ჩვევები. ამ საბავშვო სახლებში კარგადაა დაყენებული აღსაზრდელთა თვითმომსახურების საქმე.

მიუხედავად აღნიშნულისა, ზოგიერთ საბავშვო სახლში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. ბორჯომის, შუამთის, კოჯრის მე-3, მე-4, რუსთავის და ნორიოს საბავშვო სახლებში აღმზრდელები ნაკლები პასუხისმგებლობით ეკიდებიან გეგმების შედგენისა და ჩატარებული მუშაობის აღრიც-

ხვის საქმეს. არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული შრომითი სწავ-
ლება ბორჯომისა და რუსთავის საბავშვო სახლებში; მოუწყობელია
სახელოსნოები და არ აქვს საჭირო იარაღ-ხელსაწყოები გეგეჭკო-
რის და რუსთავის საბავშვო სახლებს; სათამაშოების, სასწავლო
და დიდაქტიკური ნივთების უქონლობა იგრძნობა კოჯრის მე-3,
მე-4, ნორიოს და შუამთის საბავშვო სახლებში; შუამთის საბავშვო
სახლში კეთილმოუწყობელია კარმიდამო და ნაგებობები; რბილი
და მაგარი ინვენტარი აკლია შუამთის, ნორიოს და კასპის საბავ-
შვო სახლებს; შუამთის და გეგეჭკორის საბავშვო სახლებში მენიუ
ერთფეროვანია; სუსტად მუშაობს სამედიცინო პერსონალი ბორ-
ჯომის, შუამთისა და გეგეჭკორის საბავშვო სახლებში; მოუწესრი-
გებელია აღსაზრდელთა და მუშა-მოსამსახურეთა პირადი საქმეები
ნორიოს, გეგეჭკორის, საჩხერის და რუსთავის საბავშვო სახლებში;
რუსთავის, შუამთის და ნორიოს საბავშვო სახლებში არ ეთმობა
ჯეროვანი ყურადღება მეთოდურ მუშაობას და აღმზრდელთა
კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს.

სასწავლო-აღმზრდელობითი დარგის ნაკლოვანებები და და-
ღვევები განსაკუთრებით დამახასიათებელია ნორიოსა და შუამთის
საბავშვო სახლებისათვის. ნორიოს საბავშვო სახლის სასწავლო-
საღმზრდელო ნაწილის გამგე კ. ხიდაშელი ვერ ფლობს რუსულ
ენას, არ აქვს საბავშვო სახლში მუშაობის გამოცდილება, არ იც-
ნობს საბავშვო სახლის წესდებას, არ იცნობს და არ ხელმძღვანე-
ლობს სადირექტივო მასალებით.

შუამთის საბავშვო სახლში არ დგას სათანადო სიმაღლეზე
სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობა. ბავშვებში არ არის გამომუ-
შავებული კოლექტივში ქცევის ჩვევები, ერთმანეთის მიმართ მე-
გობრულად არ არიან განწყობილნი. სიტყვათა მარაგი ღარიბი
აქვთ. აღმზრდელები ვერ აწარმოებენ სწორ აღმზრდელობით პე-
დაგოგიურ მუშაობას. ამ საბავშვო სახლის დირექტორმა ამხ. ვ.
ჭურღულაშვილმა მთელი თავისი მუშაობა წარმართა საბავშვო
სახლის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის გამოსასწორებლად, რის
შედეგად ადრე ჩავარდნილი ეს უბანი ამოსწია, მაგრამ დღემდე
ვერ შესძლო სასწავლო აღმზრდელობით მუშაობაზე კონტროლისა
და ხელმძღვანელობის გაწევა.

დარღვევებს აქვს ადგილი აგრეთვე საბავშვო სახლების საფი-
ნანსო-სამეურნეო საქმიანობაშიაც. ბორჯომის, გეგეჭკორის და საჩ-
ხერის საბავშვო სახლებში ბიუჯეტი არ სრულდება ნორმალურად;
ადგილი აქვს გადახარჯვებსა და აუთვისებლობას; გეგეჭკორის სა-

ბავშვო სახლში ადგილი ჰქონდა საქონლის საბაზრო ფასებში ნაღდ ანგარიშზე შეძენის შემთხვევას; არასწორადაა გაფორმებული ბუხჰალტრო ოპერაციები ბორჯომის, გეგეჭკორის, თელავის, რუსთავის და საჩხერის საბავშვო სახლებში; ბორჯომის და თელავის საბავშვო სახლებში სამივლინებო თანხების გაფორმება არასწორადაა ნაწარმოები; ვაკის, ბორჯომის, გეგეჭკორის, საჩხერის, თელავის და რუსთავის საბავშვო სახლებში აღსაზრდელები არ მარაგდებიან დაწესებული ნორმისა და ასორტიმენტის კვების პროდუქტებით; აღსაზრდელთა ტანსაცმელ-ფეხსაცმელით მოუმარაგებლობა იგრძნობა გეგეჭკორის, ნორიოს და საჩხერის საბავშვო სახლებში; საბუხჰალტრო ანგარიშწარმოება სრულიად მოუწესრიგებელია საჩხერის საბავშვო სახლში. ამ საბავშვო სახლის ბუხჰალტერს მ. მაჭავარიანს დარღვევებზე და აღნიშნულ ნაკლის გამოსწორებაზე წინა წლებშიაც ჰქონდა მითითებული, მაგრამ არ აქვს რა სათანადო ცოდნა და მონდომება აიმაღლოს კვალიფიკაცია—მოუწესრიგებელი აქვს ეს საქმე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ნორიოს საბავშვო სახლის სასწავლო-აღმზრდელობითი ნაწილის გამგე კ. ხიდაშელი, სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე არასათანადო ხელმძღვანელობისათვის გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან და გამოყენებული იქნეს შესაფერის სამუშაოზე.

2. ნორიოს საბავშვო სახლის დირექტორს პ. სალუქვაძეს მიეთითოს სასწავლო-აღმზრდელობით დარგში არსებული ნაკლოვანებებისათვის, მასვე დაევალოს ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე წარმოადგინოს განათლების სამინისტროში მასალები საბავშვო სახლისა და მასთან არსებული შვიდწლიანი სკოლის აღმზრდელ-მასწავლებელთა კადრების შემადგენლობის გადასინჯვის მიზნით.

3. შუამთის საბავშვო სახლის დირექტორს ვ. ჭურღულაშვილს მიეთითოს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში დაშვებული ნაკლოვანებებისათვის და დაევალოს უმოკლეს ვადაში აღმოფხვრას ისინი.

4. დაევალოს საჩხერის საბავშვო სახლის დირექტორს გ. ხვედელიძეს გაათავისუფლოს თანამდებობიდან ბუხჰალტერი მ. მაჭავარიანი, როგორც შეუფერებელი და შეარჩიოს ამ თანამდებობისათვის კვალიფიციური მუშაკი.

5. დაევალოს ზემოთ ჩამოთვლილი საბავშვო სახლების დირექტორებს და ბუხჰალტრებს უმოკლეს დროში უზრუნველყონ ამ ბრძანებაში და ნარკვევ მასალებში (აქტებში) აღნიშნულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაცია, სახელდობრ:

ა) მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ გეგმებისა და სხვა დოკუმენტაციის შედგენისა და ჩატარებული მუშაობის აღრიცხვის საქმეს;

ბ) გააძლიერონ ჯგუფების მეცადინეობებზე დასწრება და აღმზრდელებისადმი მეთოდური დახმარება;

გ) ხელი შეუწყონ აღმზრდელებს და მასწავლებლებს იდეურ-პოლიტიკური დონისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში;

დ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ აღსაზრდელთა შრომითი სწავლების საქმეს; გააფართოონ და შეავსონ საჭირო იარაღ-ხელსაწყოებით და მასალებით სასწავლო-სახელოსნოები, აგრეთვე გულდასმით შეისწავლონ შრომის ინსტრუქტორთა კვალიფიკაცია, იმის დასადგენად თუ რამდენად ამართლებენ ისინი დაკავებულ თანამდებობას;

ე) დაუყოვნებლივ შეიძინონ საბავშვო სახლისათვის საჭირო ყველა სახელმძღვანელო, სასწავლო ნივთი და დიდაქტიკური მასალა;

ვ) მოაწესრიგონ ნაგებობები და კარმიდამო, წესრიგში მოიყვანონ საწოლები, სასადილო, სამეცადინო ოთახები და სხვა;

ზ) შეიძინონ საბავშვო სახლისათვის საჭირო რბილი და მაგარი ინვენტარი;

თ) გააუმჯობესონ აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურება;

ი) მიაღწიონ მომწოდებელი ორგანიზაციებიდან კვების პროდუქტების დაწესებული ნორმითა და ასორტიმენტით მიღებას დაბრკოლებათა შემოხვევების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობონ' განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებას, საჭირო ზომების მისაღებად;

კ) დაუყოვნებლივ მოიყვანონ სრულ წესრიგში აღსაზრდელთა და მუშა-მოსამსახურეთა პირადი საქმეები;

ლ) არ დაუშვან საბავშვო სახლის დამტკიცებული ბიუჯეტიდან გადახრა (გადახარჯვა და აუთვისებლობა);

მ) სამივლინებო თანხები გაიანგარიშონ და გასცენ არსებული წესისა და ნორმების ზუსტად დაცვით;

ნ) აღსაზრდელები უზრუნველყონ ტანსაცმელ-ფეხსაცმელით, არსებული ნორმების მიხედვით და გამოუმუშაონ ბავშვებს მათი მოვლის ჩვევები;

ო) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საბუხჰალტრო დოკუმენტების ხარისხიან და დროულ გაფორმებას, აგრეთვე ან დაუშვან ანგარიშწარმოებაში შეცდომები და დარღვევები;

პ) აღკვეთონ საქონლის ნაღდ ანგარიშზე შეძენის პრაქტიკა;

ჟ) ა/წ 1 ოქტომბრისათვის წარმოადგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში მოხსენებითი ბარათი გატარებულ ღონისძიებათა შესახებ.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1959 წლის 31 ივლისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **მ. ბურჭულაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

№ 923

1959 წ. 10 აგვისტო

საბავშვო ბაღებში 1959 წლის II კვარტალში ჩატარებული შემოწმების შედეგების შესახებ

მიმდინარე წლის II კვარტალში შემოწმებულ იქნა ქ. ბათუმის, ვანისა და ქარელის რაიონების საბავშვო ბაღების მუშაობა. შემოწმებით დადასტურდა, რომ ზოგ საბავშვო ბაღში ჯერ კიდევ არ არის შექმნილი მუშაობისათვის საჭირო პირობები. ვანის საბავშვო ბაღი შეუფერებელ ბინაშია მოთავსებული, ფართობის სიმცირის გამო დღის ძილი არ ეწყობა, პროდუქტების საწყობი მეტად ვიწროა, ხოლო სამზარეულოდ ფიცრული ქოხია გამოყენებული.

ქ. ბათუმის მე-17 და ვანის საბავშვო ბაღებს მოუწესრიგებელი აქვთ სამეცადინო ოთახები, ჯგუფებში არ იგრძნობა პედაგოგიური გარემო. მოუწყობელია ბუნებისა და სათამაშოების კუთხეები.

შემოწმებულ საბავშვო ბაღებში ეზოები არაა კეთილმოწყობილი.

ვანისა და ბათუმის მე-17 საბავშვო ბაღებს აკლიათ მაგარი და რბილი ინვენტარი, სასწავლო ნივთები და სათამაშოები, პედაგოგიური და საბავშვო მხატვრული ლიტერატურა.

ბავშვებში არ იგრძნობა კულტურულ-ჰიგიენური ჩვევები, არ აქვთ ინდივიდუალური პირსახოცები და ხელსაწმენდები, აღსაზრდელები მოუწესრიგებელი სახით მოდიან საბავშვო ბაღში; შემოწმების მომენტში ვანის საბავშვო ბაღში ბავშვებს არ ჰქონდათ ცხვირსახოცები, ეცვათ ჭუჭყიანი ხალათები, ხელების დაბანის

შემდეგ 15 — 20 ბავშვი ერთი პირსახოცით სარგებლობდა. ბათუმის მე-17 საბავშვო ბაღში არ არის პირსაბნები, ბავშვები ხელპირს წყლის სასმელ ბაკთან იბანდნენ და ამავე ბაკის ონკანიდან (ჭიქის გარეშე) სვამდნენ წყალს.

ცუდია ბავშვთა დასწრება ბათუმის მე-17 და ვანის საბავშვო ბაღებში, ჯგუფში საშუალოდ 12 — 17 ბავშვი ესწრება.

სისტემატურად ირღვევა რეჟიმი ვანის, ქარელისა და ბათუმის მე-17 საბავშვო ბაღებში, რაც გამოწვეულია დილით ბავშვების გვიან შეკრებით, ეს იმის შედეგია, რომ მშობლებთან მუშაობას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა.

ვანის საბავშვო ბაღში დარღვეულია პედაგოგიური საათების განაწილება, ძირითადი აღმზრდელი ა. ჟვანია ჯგუფში მუშაობს 8 საათს (ნაცვლად 6-ისა), შემცვლელი აღმზრდელი მ. ნიკოლაიშვილი კი 3 საათს (ნაცვლად 4-ისა), ხოლო გამგე გ. სირბილაძე ჯგუფში 2 საათით შედის.

აღმზრდელებს ა. ჟვანიასა და ც. ლორთქიფანიძეს არ ჰქონდათ ყოველკვირეული სამუშაო გეგმები, ისინი საფუძვლიანად არ იცნობენ საბავშვო ბაღის სახელმძღვანელოს პროგრამულ მოთხოვნებს, არ იმაღლებენ კვალიფიკაციას.

საბავშვო ბაღები არ მარაგდებიან ხორცით, რძით, ხილითა და ბოსტნეულით, რის გამო მენიუ მეტად ღარიბი და ერთფეროვანია.

ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული პროდუქტების ხარჯვის აღრიცხვიანობის საქმე. ვანის საბავშვო ბაღში არასწორად იწერება ფაქტურა, ფაქტურის გამოწერა ხდება დღის ბოლოს, ან მეორე დღეს. ბათუმის მე-17 საბავშვო ბაღში კი ფაქტურა სულ არ იწერება.

ვანის საბავშვო ბაღის ჯგუფებში არ არის გამოკრული მეცადინეობის განრიგი, დღის რეჟიმი, ბავშვთა მორიგეობა.

სათანადოდ ვერ ხელმძღვანელობენ საბავშვო ბაღებს ბათუმის მე-17 საბავშვო ბაღის გამგე მ. ზამკოვსკაია და ვანის საბავშვო ბაღის გამგე გ. სირბილაძე. მ. ზამკოვსკაიას არა აქვს პედაგოგის სახე, იგი მუდამ თვითნებობს, უხეშობს მშობლებთან, არღვევს შრომის დისციპლინას, ხანგამოშვებით ცხადდება დაწესებულებაში. ეს ყველაფერი გავლენას ახდენს საბავშვო ბაღის მთელ მუშაობაზე. თანამშრომელთა შორისაც არაჯანსაღი დამოკიდებულებაა.

განათლების განყოფილებები ჯეროვან ყურადღებასა და დახმარებას ვერ უწევენ საბავშვო ბაღებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მიღებულ იქნას ცნობად, რომ ვანის რაიონის განათლების განყოფილების ბრძანებით სამუშაოდან განთავისუფლებულია ვანის საბავშვო ბაღის გამგე გ. სირბილაძე.

2. სუსტი პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობისათვის მიეთითოთ ვანის საბავშვო ბაღის აღმზრდელებს ა. ჟვანიასა და ც. ლორთქიფანიძეს და გაფრთხილებულ იქნან, რომ მომავალში თუ არ გამოასწორებენ მუშაობას მათ მიმართ მიღებული იქნება უფრო მკაცრი ზომები.

3. მიღებულ იქნას ცნობად, რომ ბათუმის განათლების განყოფილების ბრძანებით სამუშაოდან მოხსნილია ბათუმის მე-17 საბავშვო ბაღის გამგე მ. ზამკოვსკაია.

4. ბათუმის, ქარელისა და ვანის განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) შესაფერისი ხელმძღვანელობა გაუწიონ საბავშვო ბაღებს და პერიოდულად შეამოწმონ მათი მუშაობა;

ბ) სისტემატური კონტროლი აწარმოონ საბავშვო ბაღებში პროდუქტების აღრიცხვიანობის საქმიანობაზე.

5. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა საბავშვო ბაღების პედაგოგიური კადრებით დაკომპლექტების დროს იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1955 წლის 13 სექტემბრის № 1589 ბრძანებით, რათა საბავშვო ბაღებში არ იქნას დაშვებული არასპეციალური განათლების მქონე პირები.

6. დაისვას საკითხი ცეკავშირის გამგეობის წინაშე, რომ ცეკავშირის ადგილობრივი ორგანოები სისტემატურად არღვევენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 2 დეკემბრის № 685 დადგენილებას საბავშვო ბაღების კვების პროდუქტებით მომარაგების შესახებ.

7. საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებამ (უფროსი ამხ. ვ. ჩინჩალაძე) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1959 წლის 7 აგვისტოს დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი — გ. ნ. ჯიბლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

№ 950

1959 წლის 15 აგვისტო

სკოლების, სკოლა-ინტერნატების, პედინსტიტუტებისა და საბავშვო დაწესებულებათა მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ

აღინიშნოს, რომ სკოლების, სკოლა-ინტერნატების, პედაგოგიური ინსტიტუტებისა და საბავშვო დაწესებულებების მშენებლობა არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს: ა/წ 1 აგვისტოსათვის განათლების სამინისტროს ლიმიტით (შვიდი თვის გეგმით) გათვალისწინებული 29.080 ათასი მანეთიდან ათვისებულია 19.766 ათასი მანეთი, ხოლო საბინაო მშენებლობის ლიმიტით დაგეგმილ 14.471 ათასი მანეთიდან — 7.428 ათასი მანეთი.

ნელი ტემპით მიმდინარეობს სასკოლო შენობათა მშენებლობა:

ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონში (გეგმა 1.619 ათასი მან., შესრულება 766 ათ. მანეთი), მშენებლობა არ არის უზრუნველყოფილი მუშახელით, სამშენებლო მასალებითა და ტრანსპორტით. მშენებლობას აწარმოებს „მთავართბილმშენი".

სამგორის რაიონის სოფ. ვაზიანში (გეგმა 730 ათასი მან. შესრულება 11. ათასი მანეთი) შესრულებულია მხოლოდ მიწის სამუშაოები, აკლია როგორც სამშენებლო მასალები, ისე მუშახელი. მშენებლობას აწარმოებს „მთავართბილმშენი".

ქ. გორში (გეგმა 515 ათასი მან. შესრულება 110 ათასი მანეთი), მშენებლობას აწარმოებს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტის № 1 სამშენებლო სამმართველო;

ბოლნისის რაიონის სოფ. მჟავეწყალში (გეგმა 499 ათასი მან., შესრულება 165 ათასი მან.), აკლია ხე-ტყის მასალა და მუშახელი,

მშენებლობას აწარმოებს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დმანისში (გეგმა 333 ათასი მანეთი, შესრულება 120 ათასი მან.), მშენებლობა არ არის უზრუნველყოფილი სამშენებლო მასალებითა და მუშახელით; მშენებლობას აწარმოებს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტი; მუშახელს დროზე არ უხდიან გასამრჯელოს, რის გამოც ხდება მათი განთესვა;

ყვარელში (გეგმა 337 ათასი მან., შესრულება 129 ათასი მან., ივლისის თვეში ათვისებულია 20 ათასი მანეთი). მშენებლობა უზრუნველყოფილი არ არის მუშახელით, ტრანსპორტითა და სამშენებლო მასალებით; მშენებლობას აწარმოებს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის ყვარლის სამშენებლო უბანი;

ჭიათურის რაიონის სოფ. ზოდში (გეგმა 184 ათასი მან., შესრულება 42 ათასი მანეთი), მშენებლობას აწარმოებს „ჭიათურმარგანმშენი", ტრესტი № 9; ჩაყრილია საძირკველი, შესრულებული სამუშაოების ხარისხი სრულიად უვარგისია, ობიექტი არ არის უზრუნველყოფილი მუშახელითა და სამუშაოს კვალიფიციური მწარმოებლით. მშენებლობას არა აქვს კალენდარული გეგმა;

წალენჯიხაში (გეგმა 701 ათასი მან., შესრულება 209 ათასი მან.), მშენებლობაზე არ ჰყავთ სპეციალისტი—კალატოზები, აკლიათ სამშენებლო მასალები; მშენებლობას აწარმოებს მშენებლობის სამინისტროს ტრესტი № 2;

ახმეტაში (გეგმა 6000 ათასი მან., შესრულება 23 ათასი მან.), მშენებლობას აწარმოებს მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის წინანდლის სამშენებლო სამონტაჟო სამმართველო, მშენებლობას ხელს უშლის პემზა-ბეტონის ბლოკების უქონლობა, რომელიც საჭიროა სართულშუა გადახურვისათვის რკინა-ბეტონის კოჭებს შორის ჩანადებებად; მშენებლობა უნდა დამთავრდეს მიმდინარე წელს, სართულშუა გადახურვის ხარისხი დაბალია;

ლენტეხში (გეგმა 340 ათასი მან., შესრულება 135 ათასი მან.), მშენებლობას აკლია მუშახელი და ტრანსპორტი, შედგენილი არ არის კალენდარული გეგმა; (მშენებლობას აწარმოებს გელათშახტმშენი);

ქ. ფოთში (გეგმა 703 ათასი მანეთი, შესრულება 132 ათასი მანეთი), მშენებლობას აწარმოებს „კოლხიდმშენი"; მშენებლობაზე არ არის პემზა-ბეტონის ბლოკები, რაც საჭიროა სართულშუა გადახურვაში რკინა-ბეტონის კოჭებს შორის ჩანადებებად, მშენებლო-

ბას აკლია აგრეთვე მექანიზმები, მშენებლობის ხარისხი დაბალია, კალენდარული გეგმა არა აქვთ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესტიაში (გეგმა 283 ათასი მან., შესრულება 42 ათასი მან.), მშენებლობა ნელი ტემპით მიმდინარეობს, აკლია მუშახელი და ტრანსპორტი, მშენებლობას აწარმოებს მესტიის რაიაღმასკომის სამშენებლო სარემონტო კანტორა;

ქარელში (გეგმა 320 ათასი მანეთი, შესრულება 240 ათასი მან., ივლისის თვეში ათვისებულია 20 ათასი მანეთი), მშენებლობას აკლია მუშახელი და სამშენებლო მასალები (ხე-ტყე, ცემენტი და აგური). მშენებლებს არა აქვთ კალენდარული გეგმა, მშენებლობას აწარმოებს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტის პირველი სამმართველო.

ნელი ტემპით მიმდინარეობს აგრეთვე სკოლა-ინტერნატების სასწავლო კორპუსების მშენებლობა: ქ. თბილისის ლენინის რაიონში (გეგმა 90 ათასი მან., შესრულება ჯერ არც კი დაუწყიათ);

დუშეთის რაიონის სოფელ ბარისახოში (გეგმა 584 ათასი მანეთი, შესრულება 200 ათასი მანეთი), მშენებლობას აწარმოებს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტი, მშენებლობაზე მეტად მცირე რაოდენობით არის მუშახელი, სამშენებლო მასალები და ტრანსპორტი;

ქ. სოხუმში (გეგმა 1134 ათასი მანეთი, შესრულება 498 ათასი მან.), მშენებლობას აწარმოებს მშენებლობის სამინისტროს № 6 ტრესტი, მშენებლობას აკლია გადახურვისათვის ფილები და ელექტრომასალები;

თეთრიწყაროს (გეგმა 331 ათასი მან., შესრულება 150 ათასი მან.), მშენებლობას აწარმოებს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ტრესტი № 2; მშენებლობა ნელი ტემპით მიმდინარეობს;

ხულოში (სკოლა-ინტერნატის რეკონსტრუქცია, გეგმა 245 ათასი მან., შესრულება 137 ათასი მან.), მშენებლობას აკლია ხეტყე, ცემენტი და მუშახელი. მშენებლობას აწარმოებს ხულოს რაიონის ადგილობრივი მეურნეობის კომბინატის სარემონტო კანტორა;

ქ. სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მშენებლობა. (გეგმა 990 ათასი მანეთი, შესრულება 159 ათასი მან.); მშენებლობას აკლია სამშენებლო მასალები და ტრანსპორტი.

ასევე ნელი ტემპით მიმდინარეობს:

ქ. სოხუმის სკოლა-ინტერნატის საძინებელი და სამეურნეო კორპუსების, სასადილოსა და რვაბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა (გეგმა 613 ათასი მან.; შესრულება 294 ათასი მან.), აკლია ფილები გადახურვისათვის და ელექტრო მასალები, მშენებლობას აწარმოებს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ტრესტი № 6;

ქ. სტალინირის სკოლა-ინტერნატის საძინებელი და სამეურნეო კორპუსების, სასადილოსა და რვაბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა (გეგმა 994 ათასი მანეთი, შესრულება 276 ათასი მანეთი), აკლია სამშენებლო მასალები (აგური და ცემენტი), მშენებლობას აწარმოებს სამხრეთ ოსეთის სამშენებლო სამმართველო;

ქ. თბილისში სტალინის რაიონში არსებული სკოლა-ინტერნატის შენობაზე საერთო საცხოვრებლისა და სპორტდარბაზის მიშენება (გეგმა 1066 ათასი მან., შესრულება 181 ათასი მანეთი), აკლია სამშენებლო მასალები, მშენებლობას აწარმოებს „მთავართბილმშენი“.

გურჯაანის სკოლა-ინტერნატის საძინებელი და სამეურნეო კორპუსების, სასადილოსა და რვაბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, (გეგმა 1.000 ათასი მან., შესრულება 750 ათასი მან.), აკლია ხე-ტყის მასალა და პემზა-ბეტონის ბლოკები გადახურვისათვის. არ არის მზად კარ-ფანჯრები, მშენებლობას აწარმოებს მშენებლობის სამინისტრო № 2 ტრესტის № 6 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო.

ზუგდიდის სკოლა-ინტერნატის სამეურნეო კორპუსის მშენებლობა (გეგმა 400 ათასი მან., შესრულება 117 ათასი მან.), აკლია სამშენებლო მასალები და მუშახელი, მშენებლობას აწარმოებს „ინგურკომბინატის“ კაპიტალური მშენებლობის განყოფილება;

ახალსოფლის (ზუგდიდის რაიონი) სკოლა-ინტერნატის სამეურნეო კორპუსისა და სასადილოს მშენებლობა (გეგმა 737 ათასი მან., შესრულება 129 ათასი მან.), აკლია სამშენებლო მასალები და მუშახელი;

მშენებლობას აწარმოებს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის № 3 სამშენებლო სამმართველო;

წულუკიძის სკოლა-ინტერნატის სამეურნეო კორპუსის მშენებლობა (გეგმა 367 ათასი მან., შესრულება 155 ათასი მან.); მშენებლობას აწარმოებს წულუკიძის საკოლმეურნეობათაშორისო მშენებლობის განყოფილება;

მარნეულის სკოლა-ინტერნატის სამეურნეო კორპუსის მშენებლობა (გეგმა 393 ათასი მან., შესრულება 76 ათასი მან.), აკლია სამშენებლო მასალები, მშენებლობას აწარმოებს მარნეულის საკოლმეურნეობათაშორისო მშენებლობის განყოფილება;

კალდახვარის (გუდაუთის რაიონი) სკოლა-ინტერნატის მშენებლობა (გეგმა 260 ათასი მან., შესრულება 33 ათასი მან.), აკლია სამშენებლო მასალები;

კაჭრეთის (გურჯაანის რაიონი) საძინებელი და სამეურნეო კორპუსების, სასადილოს და რვაბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა) გეგმა 1.066 ათასი მან., შესრულება 394 ათასი მან.), აკლია სამშენებლო მასალები: ხე-ტყე, პემზა-ბეტონის ბლოკები, პარკეტი, მშენებლობას აწარმოებს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის № 6 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო;

ორჯონიკიძის რაიონის სოფ. კიცხში სკოლა-ინტერნატის საძინებელი და სამეურნეო კორპუსების, სასადილოსა და რვაბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა (გეგმა 1,116 ათასი მანეთი, შესრულება 159 ათასი მან.); აკლია ხე-ტყის მასალა და ნაწილობრივ ტრანსპორტი, მშენებლობას აწარმოებს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის № 9 სამშენებლო სამმართველო;

ქედის რაიონის სოფ. მახუნცეთის სკოლა-ინტერნატის სასადილოს მშენებლობა (გეგმა 354 ათ. მან. შესრულება 147 ათ. მან.), აკლია მუშახელი, მშენებლობას აწარმოებს ქედის რაიონის ადგილობრივი მეურნეობის კომბინატის სარემონტო კანტორა.

სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა ობიექტების მშენებლობის ასეთი ჩამორჩენის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ობიექტები არ არის უზრუნველყოფილი საჭირო სამშენებლო მასალებით, მუშახელით (განსაკუთრებით დამხმარე მუშებით), ტრანსპორტით და მუშაობის სუსტი ორგანიზაციით.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და იმ რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებათა გამგეებს, სადაც მიმდინარეობს სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების მშენებლობა:

ა) ყოველდღიური კონტროლი და საჭირო დახმარება გაუწიონ მშენებელ ორგანიზაციებს, მათთან ერთად დასახონ ჯეროვანი ღონისძიებანი არსებული ნაკლოვანებების უახლოეს დროში აღმოფხვრისა და მთავრობის მიერ დადგენილ ვადებში მშენებლობის გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად;

ბ) დადგენილი წესის მიხედვით, ყოველთვიურად, აგრეთვე სხვა დროსაც, როდესაც გამოვლინებულ იქნება მშენებლობის გეგმის შესრულებისათვის ხელის შემშლელი პირობები, მოახსენონ რაიონის (ქალაქის) მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღამსკომს და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საჭირო ზომების მისაღებად.

2. დაევალოს სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებას (უფროსი ამხ. ა. ღადუა) მიიღოს საჭირო ზომები ტექნიკური ზედამხედველების მუშაობის გასაძლიერებლად თითოეულ სამშენებლო ობიექტზე, აგრეთვე განათლების ადგილობრივ ორგანოებზე კონტროლისა და დახმარების გასაუმჯობესებლად.

3. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს:

ა) დაავალოს მომმარაგებელ ორგანიზაციებს და საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, რათა უმოკლეს ვადაში მოამარაგონ სამშენებლო ობიექტები (სკოლები, სკოლა-ინტერნატები და სხვა) ხის მასალით, აგურით, ცემენტით, პემზა-ბეტონის ბლოკებით, ფილებით, ელექტრომასალებით, პარკეტით და სხვა სამშენებლო მასალით, რაც საჭიროა 1959 წლის მშენებლობის გეგმით გათვალისწინებული ობიექტებისათვის, პირველ რიგში, მიმდინარე წელს ექსპლუატაციაში გადასაცემი ობიექტების დასამთავრებლად;

ბ) დაავალოს იმ რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, სადაც სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებათა მშენებლობა მიმდინარეობს, ყოველდღიური კონტროლი და დახმარება გაუწიონ მშენებელ ორგანიზაციებს, პერიოდულად განიხილონ მშენებლობის გეგმების შესრულების მიმდინარეობა, დასახონ და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი მშენებლობის გეგმების დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულების მიზნით; გამოუყონ თითოეულ სამშენებლო ობიექტს საჭირო რაოდენობით მუშახელი (განსაკუთრებით დამხმარე მუშახელი), მშენებელი ორგანიზაციების მოთხოვნის საფუძველზე;

გ) დაავალოს საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის სამინისტროს, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსა და

და მისი სამშენებლო ტრესტების მოთხოვნის საფუძველზე, თითოეული სამშენებლო ობიექტი უზრუნველყოს საჭირო ტრანსპორტით შეუფერხებლად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) დაავალოს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მიიღოს გადამჭრელი ზომები იმისათვის, რომ თითოეულ სამშენებლო ობიექტს ჰქონდეს სამუშაოების შესრულების მოფიქრებულად შედგენილი კალენდარული გეგმა, რათა თითოეული ობიექტის (სკოლის, სკოლა-ინტერნატის და სხვა) მშენებლობას ხელმძღვანელობდეს კვალიფიციური და შრომისუნარიანი მუშაკი, კარგი ორგანიზატორი, რომელიც მჭიდროდ დარაზმავს ობიექტზე ყველა მომუშავეს გეგმის დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ნ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

№ 955

1959 წლის 18 აგვისტო

საწარმოო სწავლების საშუალო სკოლების აგრონომ და ინჟინერ მასწავლებელთა პედაგოგიური მინიმუმის კურს-სემინარების მოწყობის შესახებ

ვითვალისწინებთ რა იმას, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლების IX კლასებში 1959-1960 სასწავლო წლიდან საწარმოო სწავლების ხელმძღვანელად გამოყენებული იქნებიან წარმოებებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში მომუშავე სპეციალისტები (ინჟინრები, აგრონომები, ტექნიკოსები და სხვა), რომელთაც არა აქვთ პედაგოგიური განათლება და მოსწავლეებთან თეორიული და პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება, საჭიროდ მიმაჩნია აღნიშნული სპეციალისტებისათვის პედაგოგიური მინიმუმის კურს-სემინარის მოწყობა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ა/წლის 20 აგვისტოდან მოეწყოს საწარმოო სწავლების საშუალო სკოლის IX კლასების მოსწავლეებთან საწარმოო სწავლების ხაზით მომუშავე სპეციალისტებისათვის პედაგოგიური მინიმუმის ერთკვირიანი კურს-სემინარები.

2. აღნიშნული კურს-სემინარების ორგანიზაცია და ჩატარება დაეკისროს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს და ამავე ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალს.

3. აღმოსავლეთ საქართველოს სკოლების მთელი კონტინგენტისა და დასავლეთ საქართველოს რუსული სკოლების კონტინგენ-

ტისათვის კურს-სემინარი მოეწყოს ქ. თბილისში, დასავლეთ საქართველოს ქართული სკოლების კონტინგენტისათვის კი—ქ. ქუთაისში.

4. დამტკიცდეს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილი პედაგოგიური მინიმუმის კურს-სემინარის თემატიკა.

5. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო საფინანსო სამმართველოს (ამხ. ალ. კვაჭაძე) უზრუნველყოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტისა და ქუთაისის ფილიალის დაფინანსება აღნიშნული კურს-სემინარებისათვის საჭირო თანხებით.

6. აღნიშნულ კურს-სემინარის ჩატარებაზე ხელმძღვანელობა და კონტროლი დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებას და სკოლების სამმართველოს.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **თ. ზახაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

№ 1056

1959 წლის 12 სექტემბერი

საბავშვო ბაღების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიის შემოწმებით დადასტურდა, რომ რესპუბლიკის საბავშვო ბაღებმა უკანასკნელ წლებში გააუმჯობესეს მუშაობა. მაგრამ იმის გამო, რომ საბავშვო ბაღების არსებული ქსელი ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას, უმეტესი საბავშვო ბაღები გადატვირთულია კონტინგენტით (ქ. თბილისი 35-ე, 45-ე, მე-80, სოხუმის მე-2, ბათუმის მე-4). ჯგუფებში 30-40 ბავშვია ჩარიცხული, რაც დიდად აფერხებს ნორმალურ მუშაობას.

რიგი საბავშვო ბაღებისა მოთავსებულია შეუფერებელ კერძო პირთა ბინებში (ქუთაისის მე-11, მე-12 და სურამის საბავშვო ბაღები), ზოგან კი საბავშვო ბაღების ცალკეულ ოთახებში კერძო მობინადრეები ცხოვრობენ (ქ. თბილისის მე-4, მე-11, მე-15, მე-16, 49-ე, 62-ე, 66-ე, 69-ე, 72-ე და 90), ხოლო ხუთი საბავშვო ბაღის (ქ. თბილისის მე-15, 26-ე, 28-ე, 56-ე და 132-ე) შენობა, რომლებიც სამამულო ომის პერიოდში სამხედრო უწყებას ჰქონდა გადაცემული, დღემდე არაა განთავისუფლებული და დაბრუნებული.

მცირეა სადღეღამისო საბავშვო ბაღების რიცხვი, რაც ვერ აკმაყოფილებს მშრომელთა გაზრდილ მოთხოვნილებას.

რესპუბლიკის რიგ საბავშვო ბაღში ფართობის სიმცირის გამო არ არის მოწყობილი დღის ძილი. ქ. ქუთაისის მე-16 საბავშვო ბაღის შენობა ავარიულ მდგომარეობაშია, რემონტს საჭიროებს ქ. თბილისის 61-ე და ხაშურის № 1 საბავშვო ბაღის შენობები.

შემოწმებულ საბავშვო ბაღებში არა საკმაო რაოდენობითაა მაგარი და რბილი ინვენტარი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რესპუბლიკაში არ მზადდება ასაკის შესაფერისი საბავშვო ავეჯი (სკამები, მაგიდები, კარადები, საწოლები და სხვა).

მაგარი და რბილი ინვენტარის უქონლობის გამო არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა შექმნილი ქ. თბილისის 26-ე, სურამისა და სხვა საბავშვო ბაღებში.

საბავშვო ბაღებში მცირე რაოდენობით არის სათამაშოები, დიდაქტიკური ხელსაწყოები და სასწავლო ნივთები.

არ არის მოწყობილი ბუნების კუთხეები, არ აქვთ ცოცხალი ობიექტები, ნაკლებად აქვთ თვალსაჩინო მასალები, ბავშვებს არ აცნობენ გარემო ცხოვრებას, ხელს არ უწყობენ შემოქმედებითი თამაშის გაშლას, შრომითი ჩვევების აღზრდას და სხვა (სტალინირის № 1, მე-2, ზუგდიდის მე-7, თბილისის 26-ე, 37-ე, 42-ე, 46-ე, 61-ე, 76-ე, მე-80, ქუთაისის მე-3, მე-12, ხაშურის № 1, სურამის, ბათუმის მე-17).

არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული ბავშვების ფიზიკური აღზრდის საქმე სტალინირის № 1, მე-4, ზუგდიდის მე-4, ბათუმის მე-17 და ქ. თბილისის 42-ე საბავშვო ბაღებში. ზოგან საჭირო ყურადღება არ ექცევა მშობლიურ ენაზე სწორად მეტყველების საქმეს (თბილისის 46-ე, მე-80, ზუგდიდის მე-4, მე-7 და ბათუმის მე-4 საბავშვო ბაღები).

არის შემთხვევები, როცა აღმზრდელთა ერთი ნაწილი სრულყოფილად ვერ ფლობს იმ ენას, რომელზედაც უხდებათ ბავშვებთან მეცადინეობის ჩატარება (ქ. თბილისის 26-ე, 46-ე, 76-ე საბავშვო ბაღებში).

არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული მუსიკალური აღზრდის საქმე. ბავშვების უმრავლესობამ არ იცის სიმღერის ტექსტი, ვერ არკვევს შესწავლილ საბავშვო მუსიკალურ ნაწარმოებებს და სხვა (თბილისის 46-ე, 49-ე, მე-80, ზუგდიდის მე-4, ბათუმის მე-4, მე-17, ქუთაისის მე-12, სურამის საბავშვო ბაღები).

ზოგ საბავშვო ბაღში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა პედაგოგიური მუშაობის აგეგმვა-აღრიცხვის საქმეს. აღმზრდელთა სამუშაო გეგმები შედგენილია ფორმალურად, მათში არაა ასახული პროგრამით მოცემული მუშაობის სახეები, სისტემატურად არ აწარმოებენ ჩატარებული მუშაობის აღრიცხვას (სოხუმის მე-2, ქუთაისის მე-2, მე-3, მე-12, სურამის, ზუგდიდის მე-4, ბათუმის მე-4, მე-17, ხაშურის, თბილისის 26-ე, 46-ე, 76-ე, მე-80 საბავშვო ბაღები).

სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს საბავშვო ბაღების სამედიცინო მომსახურებას, შემოწმებულ საბავშვო ბაღებში ექიმი და ექთანი სამუშაოზე კვირაში ორჯერ ცხადდებიან 3-4 საათით. არ ტარდება ბავშვთა ღრმა საექიმო შემოწმება და თერმომეტრიზაცია, მედპერსონალი მონაწილეობას არ ღებულობს მენიუს შედგენასა და კალორაჟის გამოანგარიშებაში, ნაკლები ყურადღება ექცევა დაწესებულებისა და ბავშვების სანიტარულ მდგომარეობას.

შემოწმების პერიოდში რიგ საბავშვო ბაღში ანტისანიტარული მდგომარეობა იყო (ბათუმის მე-17, ქ. თბილისის 26-ე, 61-ე, 95-ე და პირველი გამაჯანსაღებელი საბავშვო ბაღი).

ხშირად სავაჭრო ორგანიზაციები დაგვიანებით აწვდიან ბაღებს ნორმირებულ პროდუქტებს: ბოსტნეულს, ახალ ხილს, ხორცს, რძეს, კვერცხს და რძის ნაწარმს. ამის გამო, მენიუ ღარიბია, კალორიულობა და ცხიმიანობა დაბალია, ამზადებენ ერთფეროვან, უგემურ და დაბალხარისხოვან კერძებს.

ზოგ საბავშვო ბაღში არ არის წესრიგში საბუხჰალტრო დოდოკუმენტაცია (ქ. თბილისის 61-ე, 65-ე და სურამის საბავშვო ბაღები). ფაქტურებში ადგილი აქვს გაცემული პროდუქტების რაოდენობის გადაკეთებას, ხშირად პროდუქტი დამატებულია და მიწერილი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) გაითვალისწინონ ბრძანებაში აღნიშნული ნაკლოვანებანი და მომავალში არ დაუშვან მსგავსი შემთხვევები;

ბ) მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იყოლიონ საბავშვო ბაღები. აღმოუჩინონ მათ ქმედითი დახმარება როგორც მეთოდურ, ისე სამეურნეო საკითხებში;

გ) სისტემატური კონტროლი დააწესონ საბავშვო ბაღების პროდუქტებით მომარაგებისა და მისი სწორად ხარჯვის საქმიანობაზე;

დ) უზრუნველყონ საბავშვო ბაღები მაგარი და რბილი ინვენტარით, სასწავლო ნივთებითა და სათამაშოებით.

2. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებამ (უფროსი ამხ. არველაძე) სისტემატური დახმარება გაუწიოს საბავშვო ბაღებს რბილი და მაგარი ინვენტარით მომარაგების საქმეში.

3. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (უფროსი ამხ. ღადუა):

1960 წლისათვის ბიუჯეტში გაითვალისწინოს ბრძანებაში აღნიშნული საბავშვო ბაღების რემონტი.

4. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (უფროსი ამხ. ა. კვაჭაძე) 1960 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს თბილისის ერთ-ერთი საბავშვო ბაღის სადღეღამისო საბავშვო ბაღად გადაკეთება.

5. მიღებულ იქნას ცნობად რომ:

ა) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიამ საბავშვო ბაღების შემოწმების შედეგები აცნობა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვისა და ვაჭრობის სამინისტროებს საჭირო ღონისძიებების გასატარებლად;

ბ) ხაშურის რაიკომის, აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, სოხუმის, სტალინირის, ქუთაისის საქალაქო აღმასკომებისა, ზუგდიდის, ქ. თბილისის ლენინის, სტალინის, ოქტომბრის, ორჯონიკიძის და 26 კომისრის რაიონების რაიაღმასკომების მიერ მიღებულია გადაწყვეტილებები შემჩნეული ნაკლოვანებებისა და დარღვევათა გამოსასწორებლად. განთავისუფლებულია სამუშაოდან 6 მუშაკი, ადმინისტრაციული სასჯელი დაედო 46 მუშაკს.

6. დაისვას საკითხი ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების აღმასკომის წინაშე რათა განთავისუფლებული იქნას ქ. თბილისის მე-15, 26-ე, 28-ე, 56-ე და 132-ე საბავშვო ბაღების შენობები, რომლებიც არადანიშნულებით არიან გამოყენებული.

7. საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებამ (უფროსი ამხ. ვ. ჩინჩალაძე) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1959 წლის 11 სექტემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ ი რ ი — **გ. ნ. ჯიბლაძე**

მ ი მ ა რ თ ვ ა № 1067

1959 წლის 16 სექტემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებათა გამგეებს

სამუშაოზე მოწყობისა და უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში შესასვლელად საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის დახასიათება-რეკომენდაციების გაცემის წესის შესახებ შემოსულ შეკითხვებთან დაკავშირებით საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო განმარტავს:

1. აღნიშნული დახასიათებები საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებს უნდა მიეცეთ სიმწიფის ატესტატთან ერთად. დახასიათება-რეკომენდაციებს ხელს აწერენ სკოლის დირექტორი, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები და მოწმდება სკოლის ბეჭდით.

2. დახასიათება-რეკომედაციებში მოცემული უნდა იყოს კურსდამთავრებულის უნარისა და მიდრეკილების, შრომისადმი მისი დამოკიდებულების, დისციპლინირებულობის, სკოლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტივობის ვრცელი პედაგოგიური დახასიათება. დახასიათება-რეკომენდაციებში აღნიშნული უნდა იყოს პედაგოგიური საბჭოს აზრი იმ შრომითი საქმიანობის შესახებ (საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის ჩათვლით), რომელშიც კურსდამთავრებულს უფრო მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია, სკოლის დამთავრების მომენტისათვის მისი ინდივიდუალური მონაცემების შესაბამისად.

3. დახასიათება-რეკომენდაციები კურსდამთავრებულებს უნდა მიეცეთ მათი პირადი საქმეების, ბრძანების წიგნის, საკლასო ჟურნალებისა და სკოლაში არსებული სხვა დოკუმენტების ჩანაწერების, აგრეთვე მასწავლებლების, კლასის ხელმძღვანელების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელების, სკოლის ადმინისტრაციის პედაგოგიური დაკვირვებებისა და პედაგოგიურ საბჭოზე აზრთა გაცვლა-გამოცვლის საფუძველზე.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო წინადადებას გაძლევთ ეს მითითებები გააცნოთ ყველა საშუალო სკოლის ხელმძღვანელს.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი გ. ჯიბლაძე
1959 წ. 14 სექტემბერი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლებსა სკოლა ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში მოსწავლეთა თვითმომსახურების შესახებ

კანონი „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მოსწავლეთა ფსიქოლოგიურ და პრაქტიკულ მომზადებას ფიზიკური შრომისათვის.

თვითმომსახურება წარმოადგენს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის მარტივ სახეს და მწარმოებლური შრომისათვის მოსწავლეთა მომზადების საწყის საფეხურს.

თვითმომსახურებაში იგულისხმება სათავსოს დალაგება, საჭმლის მომზადებაში მონაწილეობის მიღება, სასადილოში ამხანაგების მომსახურება, ტანსაცმლის წვრილმანი შეკეთება, სკოლის ეზოგარემოს მოვლა, თვალსაჩინო ხელსაწყოების დამზადება და შეკეთება.

მოწინავე სკოლების მუშაობის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ თვითმომსახურება ბავშვთა შრომითი აღზრდის აუცილებელი ნაწილია.

მოსწავლეთა თვითმომსახურებით შრომას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. თვითმომსახურების პროცესში მოსწავლეები ეჩვევიან შრომას, იარაღდებიან ფიზიკური შრომის ჩვევებითა და ცოდნით, სწავლობენ მოზრდილთა შრომის დაფასებას, პატივისცემით ეკიდებიან ფიზიკური შრომის ყველა სახეს; მოსწავლეებს უვითარდებათ ინიციატივა, თვითმოქმედება, ნებისყოფა.

ამასთან ერთად ბავშვთა კოლექტივში მტკიცდება ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრი და ვითარდება მათში ესთეტიკური დამოკიდებულება შრომისადმი.

როდესაც მოსწავლეები თვითონ წმენდენ იატაკს და აპრიალებენ პარკეტს, ისინი უფრო მეტად ზრუნავენ იმაზე, რომ თანდა-არ შემოიტანონ მტვერი და ტალახი, დაიცვან ყველგან სისუფთავე და წესრიგი.

თვითმომსახურების ცალკეულ დავალებათა შესრულების პროცესში მოსწავლეებში მუშავდება და მტკიცდება ჰიგიენურ-კულტურული ჩვევები, იწრთობა მათი ორგანიზმი და მტკიცდება ჯანმრთელობა.

თვითმომსახურებითი შრომის დიდი აღმზრდელობითი გავლენა ბრწყინვალედ დაამტკიცა გამოჩენილი საბჭოთა პედაგოგის ა. ს. მაკარენკოს მდიდარმა გამოცდილებამ. მთელი ეს გამოცდილება აგებულია კომუნისტური აღზრდის ურყევ პრინციპზე—აღზრდა შრომაში, შრომის საშუალებით, შრომისათვის.

თვითმომსახურება ხელსაყრელ პირობებს ქმნის მოსწავლეთა კოლექტივის ორგანიზაციისა და კოლექტივიზმის სულისკვეთებით აღზრდისათვის. საყოფაცხოვრებო-სამეურნეო შრომის პროცესში მოსწავლეები ეჩვევიან ორგანიზატორულ მუშაობას, დისციპლინას, კოლექტივის წინაშე პასუხისმგებლობას, თავისი ინტერესების დაქვემდებარებას კოლექტივის ინტერესებისადმი. ამასთან ერთად, მოსწავლეთა თვითმომსახურების განხორციელებას აქვს დიდი საგანმანათლებლო მნიშვნელობა მათი სანიტარულ-ჰიგიენური კულტურის დონის ამაღლების თვალსაზრისით.

რესპუბლიკის ზოგიერთმა სკოლამ უკანასკნელ დროს მოსწავლეთა თვითმომსახურებითი შრომის დარგში კარგი გამოცდილება დააგროვა. ამ სკოლების უფროსი კლასების მოსწავლეები აღაგებენ საკლასო ოთახებს, სასწავლო კაბინეტებს, წმენდენ იატაკს, აპრიალებენ პარკეტს, მორიგეობენ სკოლასა და კლასში.

თვითმომსახურებითი შრომის ყველა სახე თავის გამოხატულებას პოულობს სკოლისა და კლასის შანაგანაწესში.

ფრიად საჭირო სამუშაოთა სწორი ორგანიზაცია და სისტემატური შესრულება ამ სკოლებში წარმოადგენს სკოლის დირექციის, კლასის ხელმძღვანელების, მთელი პედაგოგიური კოლექტივის, კომკავშირის, პიონერული და მოსწავლეთა ორგანიზაციების, მშობელთა კომიტეტების განსაკუთრებული ყურადღების საგანს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ქ. თბილისის 88-ე სკოლის მოსწავლეთა თვითმომსახურების სწორი ორგანიზაცია. ამ სკოლაში მაქსიმალურად შემცირებულია ტექნიკური პერსონალი და მოსწავლენი სანიმუშო სისუფთავეს იცავენ. რაც მთავარია, ბავშვებში გამომუშავდა შრომისა და კულტურული ქცევის ჩვევები და მშობლიური სკოლის კოლექტიურად მოვლის გრძნობა.

ახლა, როცა სკოლის შესახებ მიღებული კანონის საფუძველზე მთელი საბჭოთა ხალხი ახორციელებს განათლების სისტემის გარდაქმნას, თვითმომსახურებითი შრომის სწორი ორგანიზაციისა და გეგმაზომიერი დანერგვის საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის, კომუნისტური საზოგადოების შეგნებული მშენებლის ფორმირების საქმეში.

ცხადია, რომ თვითმომსახურებისას ბავშვების მიერ შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობა თანდათან უნდა რთულდებოდეს და იზრდებოდეს ბავშვთა ასაკის ზრდასთან ერთად, მათი ორგანიზმის ანატომიურ-ფიზიოლოგიურ თავისებურებათა გათვალისწინებით.

ამასთან, მხედველობაში ისიც უნდა იქნეს მიღებული, რომ ბავშვები ხასიათდებიან თავისებური, სწრაფი რეაგირებით გარემოსადმი, ინფექციურ დაავადებათა ადვილი ამთვისებლობით, რაც მოითხოვს ბავშვთა დატვირთვის სწორ რეგლამენტირებას და შრომითი პროცესების განსაზღვრას ბავშვთა ასაკის, სქესისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით.

ამასთან უნდა გაძლიერდეს სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობა მოსწავლეთა შორის, რათა ისინი კარგად იცნობდნენ პირადი ჰიგიენის მოთხოვნებს, სათავსოების დაცვა-დასუფთავების წესებსა და ტექნიკას, ჰაერის გაჭუჭყიანებასა და მტვერთან ბრძოლის საშუალებებს. სკოლები უზრუნველყოფილი უნდა იქნენ თვითმომსახურებისათვის საჭირო ინვენტარითა და მასალებით (მტვერსასრუტი, პარკეტის საპრიალებელი, ცოცხი, საწმენდი ტილო და სხვ.), პირადი ჰიგიენის საგნებით (პირსახოცი, საპონი), სპეცტანსაცმელით და ა. შ. კლასის ხელმძღვანელები, სკოლის სამედიცინო პერსონალი და მშობელთა კომიტეტი მოსწავლეებს სისტემატურ ზედამხედველობას, ხელმძღვანელობას, დახმარებასა და კონტროლს უნდა უწევდნენ მუშაობის პროცესში.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო თვლის, რომ მოსწავლეთა თვითმომსახურებითი შრომა შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად:

შრომითი-პოლიტექნიკური სკოლები

I. უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის

ა) I—IV კლასები

წესრიგზე ჰქონდეს თავისი სამუშაო კუთხე, გადაწმინდოს მტვერი მერხებიდან, ტუმბოჩკებიდან, რაფებიდან. გაწმინდოს დაფა ნოტიო ჩვრით. მოუაროს მწვანე ნარგავებს. იმორიგეოს კლას-

ში. შეასრულოს სანიტარის მოვალეობა. გარდა ამისა, III—IV კლასების მოსწავლეები ანიავებენ საკლასო ოთახს, ამზადებენ ... ... მების გირლიანდს სკოლის მოსართავად, უვლიან ცოცხალ კუთხეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. საშუალო სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის

ბ) V—VIII კლასები

დაალაგოს საკლასო ოთახები. დაგავოს სკოლის ეზო. გაწმინდოს თოვლი. მორთოს სკოლის დერეფნები ყვავილებითა და მცენარეებით. მონაწილეობა მიიღოს სკოლის ეზოს კეთილმოწყობაში. მოუაროს მწვანე ნარგავებსა და ცოცხალ კუთხეს. შეაკეთოს ღობე, მერხები. მოიყვანოს წესრიგში გზა-ბილიკები. მოემსახუროს სასკოლო კინოს. შეასრულოს შეფის მოვალეობა უმცროს კლასებში. იმორიგეოს კლასში, სკოლაში. მოზიდოს სათბობი მასალა ღუმელებთან. დაალაგოს თავისი სამუშაო ადგილი სახელოსნოებსა და კაბინეტებში, ჩააბაროს ხელსაწყოები, ჭურჭელი სუფთა მდგომარეობაში. გარდა ამისა, V—VIII კლასების მოსწავლეები წმენდენ იატაკს და მონაწილეობენ სკოლის გენერალურ დასუფთავებაში.

III. უფროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის

ბ) IX—XI კლასები

დაალაგოს საკლასო ოთახები, კაბინეტები, სასპორტო დარბაზები. გარეცხოს იატაკი, დაგავოს სკოლის ეზო. გაწმინდოს თოვლი. მორთოს სკოლის დერეფნები ყვავილებითა და მცენარეებით. მონაწილეობა მიიღოს სკოლის შეკეთებასა და გენერალურ დასუფთავებაში, სკოლის ეზოსა და ფიზიკური აღზრდის მოედნების კეთილმოწყობასა და სასკოლო-საცდელი ნაკვეთის დამუშავებაში. მოუაროს მწვანე ნარგავებს, ცოცხალ კუთხეს. შეაკეთოს ღობე, მერხები. მოიყვანოს წესრიგში გზა-ბილიკები, მოემსახუროს სასკოლო კინოს. შეასრულოს შეფის მოვალეობა უმცროს კლასებში. იმორიგეოს კლასში, სკოლაში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: საშუალო და უფროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეთა თვითმომსახურებითი შრომა სკოლაში ხორციელდება სამორიგეო განრიგით, მოსწავლემ შეიძლება იმორიგეოს კვირაში ერთხელ (არა უმეტეს), მოსწავლის თვითმომსახურებითი შრომის ხანგრძლიობა მორიგეობისას არ უნდა აღემატებოდეს 40—60 წუთს.

თუ კლასი საღამოობით დაკავებულია სხვა სასწავლო და-

წესებულების მიერ, უკანასკნელი კლასს აბარებს სკოლას სრულ წესრიგზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუშვებელია მოსწავლეთა მიერ შუქფარებისა და მრავალსართულიანი შენობის ფანჯრების გაწმენდა, სანიტარული კვანძების, სანაგვე ორმოებისა და ყუთების გასუფთავება, ადმინისტრაციული და სამოსამსახურო სათავსოების დალაგება.

ბავშვთა თვითმომსახურებით შრომას ხელმძღვანელობს სკოლის მიერ გამოყოფილი მასწავლებელი, მშობელთა კომიტეტის წევრი სამედიცინო და.

სკოლა-ინტერნატები და საბავშვო სახლები

1. უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის

ა) I—II კლასები

ჩაიცვას, გაიხადოს, დაიბანოს ხელ-პირი. დაივარცხნოს თმა (ვაჟებმა). მიეჩვიოს თავისი ლოგინის გაშლასა და ალაგებას. საჭიროებისას მიაკეროს ღილი. გაიწმინდოს ფეხსაცმელი და ტანსაცმელი. გარდა ამისა, მეორე კლასის აღსაზრდელი რეცხავს და აუთოებს ქვესაყელოს, ცხვირსახოცს. ანიავებს საძინებელ ოთახს. უვლის შინაურ ფრინველებს.

ბ) III—IV კლასები

დაალაგოს საძინებელი ოთახი (იატაკის გარეცხვის გარეშე), გაშალოს და აალაგოს თავისი ლოგინი. გაიწმინდოს ფეხსაცმელი და ზედა ტანსაცმელი. აწარმოოს ტანსაცმლის წვრილი შეკეთება. მოუაროს შინაურ ფრინველებს. გაარჩიოს ბოსტნეული.

II. საშუალო სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის

გ) V—VIII კლასები

დაალაგოს ლოგინი. გაწმინდოს ფეხსაცმელი, ტანსაცმელი. ამონემსოს წინდები. გარეცხოს თეთრეული. გააუთოვოს კოსტუმი. დაეხმაროს უმცროსებს ჩაცმასა, გახდასა და თმის დავარცხნაში, ასწავლოს და დაეხმაროს უმცროსებს დაბანაში. იმორიგეოს სასადილოსა და სამზარეულოში. გაშალოს მაგიდა. მიუტანოს კერძი აღსაზრდელებს. აალაგოს და გარეცხოს ჭურჭელი. დაეხმაროს მზარეულს საჭმლის მომზადებაში. ისარგებლოს რადიომიმღებით, ტელევიზორით, ელექტროუთოთი და ელექტროქურით. მოუაროს

შინაურ ფრინველებს და მოზარდ პირუტყვს, იმორიგეოს საძინებელ ოთახში, გარდა ამისა, VII—VIII კლასების აღსაზრდელებმა უნდა დაჩეხონ შეშა, ისარგებლონ გაზის ქურით, ნავთქურით.

III. უფროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის

დაალაგოს ლოგინი, გაიწმინდოს ფეხსაცმელი და ტანსაცმელი. ამონემსოს წინდები, გარეცხოს თეთრეული, გააუთოოს კოსტუმი, შეაკეთოს ელექტროგაყვანილობა, საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოები. ლითონის ჭურჭელი.

აწარმოოს საძინებელი ოთახის მთლიანი დალაგება, შეასრულოს ყველა სამუშაო სასკოლო-საცდელ ნაკვეთზე მებაღეობასა და მებოსტნეობაში. შეეძლოს ფრინველებისა და საქონლისათვის საკვების მომზადება, მათი მოვლა. იმორიგეოს საძინებელ ოთახში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: აღსაზრდელთა მორიგეობა საძინებელ ოთახში, კვების ბლოკში ხორციელდება სამორიგეო განრიგით.

აღსაზრდელს მორიგეობა უნდა უხდებოდეს არა უმეტეს ერთხელ კვირაში.

მორიგეობა კვების ბლოკში წესდება სასადილო დარბაზის გამტარუნარიანობისა და სამზარეულოს მუშაობის შესაბამისად, 1 მორიგე ყოველ 12—15 აღსაზრდელზე.

მორიგე აღსაზრდელი უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სამზარეულოში თეთრი ხალათითა და კალპაკით, საძინებელ ოთახში—მუქი ფერის ხალათით.

კვების ბლოკში სამორიგეოდ არ დაიშვებიან დაავადებული აღსაზრდელები (ბაცილმტარებლობა, კანის დაავადებანი, ჩირქოვანი დაავადებანი და სხვ.). აღსაზრდელმა შეიძლება იმორიგეოს არა უმეტეს ერთხელ 5 დღეში. დაუშვებელია აღსაზრდელთა მიერ შუქფარებისა და მრავალსართულიანი შენობის ფანჯრების გაწმენდა, სანიტარული კვანძებისა და სანაგვე ორმოებისა და ყუთების გასუფთავება, ადმინისტრაციული და სამოსამსახურო კაბინეტებისა და ოთახების (დირექტორის კაბინეტი, მედპუნქტი, იზოლიატორი და სხვ.) დალაგება.

აღსაზრდელთა თვითმომსახურებით შრომას კვების ბლოკში ხელმძღვანელობს მზარეული, ხოლო სხვა ადგილებში—წინასწარ გამოყოფილი აღმზრდელი.

სკოლების სამმართველოს
უ ფ რ ო ს ი **გ. საყვარელიძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეთანხმებულია
საქართველოს სსრ განათლების
მუშაკთა პროფკავშირის ცენტრ.
კომიტეტთან და საქართველოს
სსრ მთავარ სახელმწიფო სა-
ნიტარულ ინსპექციასთან

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მიერ 14 სექტემბერი
1959 წ.

უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესები საშუალო და რვაწლიანი სკოლების სასწავლო სახელოსნოებში

1 ზოგადი დებულებები

1. პასუხისმგებლობა ამ წესების შესრულებისათვის ეკისრებათ: სკოლის დირექტორს, სასწავლო ნაწილის გამგეს, სახელოსნოების გამგეს, აგრეთვე მასწავლებლებს, რომლებიც ატარებენ პრაქტიკულ მეცადინეობებს.

2. სკოლის დირექტორი, სასწავლო ნაწილის გამგე, სახელოსნოების გამგე, აგრეთვე პრაქტიკული მეცადინეობის ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან იცოდნენ ეს წესები და უზრუნველყოფდნენ სასწავლო სახელოსნოების სათავსოებისა და მოწყობილობის სრულ შესატყვისობას და მათში მუშაობის ორგანიზაციას ამ წესების მოთხოვნების მიხედვით.

3. პრაქტიკული მეცადინეობის მასწავლებლები ვალდებულნი არიან ასწავლონ მოსწავლეებს სწორი და ფრთხილი მოქცევა სასწავლო სახელოსნოების მოწყობილობისადმი, მათზე დავალებული სამუშაოების შესრულების უხიფათო მეთოდები და თვალყური ადევნონ მოსწავლეთა მიერ უსაფრთხოების წესების დაცვას.

II. საერთო მოთხოვნები სასწავლო სახელოსნოების სათავსოებისადმი

სამუშაო სათავსოების მოწყობა

4. სკოლის სასწავლო სახელოსნოების მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 13 კუბ. მეტ. თითოეულ მოსწავლეზე.

5. სასწავლო სახელოსნოს სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3,2 მეტრისა იატაკიდან ჭერამდე.

6. სასწავლო სახელოსნოების განლაგება ნახევრადსარდაფურ სათავსოებში, რომლის სიღრმე 0,7 მეტრს არ აღემატება, ნებადართულია როგორც გამონაკლისი, პროფკავშირის ტექნიკური ინსპექციისა და სახელმწიფო სანიტარული ინსპექციის ნებართვით, ასეთ სათავსოში ეფექტური ვენტილაციის აუცილებელი მოწყობით.

7. სასწავლო სახელოსნოები განლაგებული უნდა იქნეს ისეთ სათავსოებში, რომლებიც იზოლირებულია საკლასო სათავსოებიდან ან გამოყოფილია მათგან კაპიტალური კედლებით.

8. სასწავლო სახელოსნოების სათავსოები უნდა იყოს ნათელი, თბილი და მშრალი.

9. სასწავლო სახელოსნოების იატაკი უნდა იყოს თბილი და მკვრივი; მას არ უნდა ჰქონდეს პრიალა ზედაპირი და იყოს მოხერხებული დასუფთავებისათვის, სამუშაო ადგილზე იატაკის მასალის სითბოს ათვისების კოეფიციენტი უნდა იყოს არა უმეტეს 5,0 კალ/მ² საათ. გრად.

10. წლის ცივ პერიოდში სასწავლო სახელოსნოების ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა უნდა იყოს 50-დან 60 %-დე, აბსოლუტური შეფარდება 8-დან 9,9 მილიმეტრამდე სინდიყის სვეტისა.

11. საძრომი და ტრანშეა გადახურული უნდა იყოს მთლიანი ფიცარნაგით იატაკთან თანპირად.

12. კარები, კიბეები და დერეფნები მოწყობილი უნდა იყოს სააღმშენებლო და ხანძარსაწინააღმდეგო წესებისა და ნორმების მოთხოვნათა მიხედვით.

დაუშვებელია კიბეებისა და დერეფნების შეხორგა.

13. სახელოსნოებში ავეჯი ისე უნდა იყოს განლაგებული, რომ არ აბნელებდეს სამუშაო ადგილს.

14. სასწავლო სახელოსნოებს, მიუხედავად მათში არსებული სავენტილაციო მოწყობილობისა, ფანჯრის ღიობში უნდა ჰქონდეს ალათას საგდული ან სხვა გასაღები მოწყობილობა განიავებისათვის.

სასწავლო სახელოსნოების სათავსოთა ვენტილაცია

15. ყველა სასწავლო სახელოსნოსათვის, მიუხედავად მათში ჰაერის გაჭუჭყიანების ხარისხისა, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ბუნებრივი ან მექანიკური ვენტილაცია.

16. სასწავლო სახელოსნოების სათავსოებს, სადაც ერთ მოსწავლეზე 20 კუბ. მეტრზე ნაკლები მოცულობა მოდის, უნდა ჰქონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეთ ვენტილაცია, რომელიც უზრუნველყოფს ჰაერის ორგანიზებულ ცვლას ერთ მოსწავლეზე არანაკლებ 30 კუბ. მეტ. საათში.

სათავსოებს, რომელთა მოცულობა ერთ მოსწავლეზე 20-დან 40 კუბ. მეტრამდეა, უნდა ჰქონდეთ ვენტილაცია, რომელიც უზრუნველყოფს ჰაერის ორგანიზებულ ცვლას, არანაკლებ 20 კუბ. მეტ. საათში ერთ მოსწავლეზე. სათავსოებში, რომელთა მოცულობა ერთ მოსწავლეზე 40 კუბ. მეტრს აღემატება საკმარისია მათი განიავება.

17. დროის ცივ პერიოდში ჰაერის ნაკადის გაწოვის ასანაზღაურებლად დაიშვება გარეთა ჰაერის არაორგანიზებული მოდინება, რომლის მოცულობა ერთ საათში არ აღემატება ერთჯერადი ჰაერის ცვლას. არაორგანიზებული მოდინება დასაშვებია აგრეთვე განხორციელდეს მომიჯნე სათავსოებიდან შემოსული ჰაერით, თუ მათში არ არის მავნე ნივთიერებათა გამონაყოფი.

18. სათავსოებში შემოსულმა გარეთა ჰაერის არაორგანიზებულმა მოდინებამ არ უნდა შექმნას სათავსოების შიგა ჰაერის ტემპერატურის მკვეთრი დაქვეითება.

19. სასწავლო სახელოსნოების სათავსოებში სფფთა ჰაერის მოდინება (ორგანიზებული თუ არაორგანიზებული) როგორც წესი, უნდა ხდებოდეს სამუშაო ზონაში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სამუშაო ზონად ითვლება სივრცე, რომლის სიმაღლე უდრის 2 მეტრს იატაკის დონიდან.

20. ყოველ მოწყობილობას, რომელიც მუშაობის დროს გამოყოფს მტვერს, აირს და მძიმე სუნს, უნდა ჰქონდეს ადგილობრივი გამწოვები.

სასწავლო სახელოსნოების სათავსოთა გათბობა

21. სასწავლო სახელოსნოების სათავსოებში უმეტესად მოწყობილი უნდა იყოს წყლით გათბობის სისტემა, რომლის სახურებელი მოწყობილობის ზედაპირის ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 95°-ს. ცალკეულ შემთხვევებში, პროფკავშირის ტექნიკური ინსპექციის ნებართვით, დასაშვებია წყლით გათბობის სისტემის გამოყენება, რომლის სახურებელი მოწყობილობის ზედაპირის ტემპერატურა 130 გრადუსამდეა. ამ შემთხვევაში გათბობის სახურებელი მოწყობილობები დაცულ უნდა იქნეს სითბოს არაგამტარი მასალისაგან დამზადებული დამცველი ბადეებით.

22. სასწავლო სახელოსნოთა სათავსოების სამუშაო ზონაში ჰაერის ტემპერატურა შეიძლება მერყეობდეს 16—20 გრადუსებ-ლებში.

23. გათბობის სახურებელი მოწყობილობები მომარაგებული უნდა იყოს სითბოს მარეგულირებელი მოწყობილობით.

24. გათბობის სახურებელი ხელსაწყოები მოხერხებული უნდა იყოს გასაწმენდად.

25. აკრძალულია თუჯის ან სხვა მსგავსი დროებითი ღუმელების გამოყენება სასწავლო სახელოსნოების გასათბობად.

სასწავლო სახელოსნოების სათავსოთა განათება

26. სასწავლო სახელოსნოების სათავსოები უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბუნებრივი განათების საშუალებით.

27. სასწავლო სახელოსნოების განათების ბუნებრივი კოეფიციენტი უნდა იყოს არანაკლებ 0,75-სა.

28. ხელოვნური განათება უნდა იყოს თანაბარი. სამუშაოადგილს არ უნდა ეცემოდეს ჩრდილი. ელექტრონათურები მომარაგებული უნდა იყოს სათანადო არმატურით.

29. ხელოვნური ელექტროგანათებისას სამუშაო ზედაპირის განათებულობა უნდა იყოს არანაკლებ 50, ხოლო ლუმინანსცენტური განათებისას—არანაკლებ 150 სუქსისა.

30. სამუშაო ადგილთან ადგილობრივი განათების ძაბვა არ უნდა აღემატებოდეს 36 ვოლტს. ნათურები არ უნდა ახდენდნენ მკვეთრ დამაბრმავებელ მოქმედებას.

ნათურების დაკიდების სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრისა იატაკიდან.

შენიშვნა: ნავთით განათებისას ლამპის დაკიდების სიმაღლე შეიძლება შემცირდეს პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და ტექნიკურ ინსპექტორთან შეთანხმებით.

სასწავლო სახელოსნოთა სათავსოების მოვლა

31. სახელოსნოთა სათავსოები, გასასვლელები, დერეფნები, კიბეები და საყოფაცხოვრებო მოწყობილობანი უნდა ინახებოდეს სუფთად და წესიერად. გათბობის მოწყობილობანი და სავენტილაციო დანადგარები თავის დროზე უნდა იწმინდებოდეს და სრულ წესრიგში იყოს.

32. ყოველი სასწავლო მეცადინეობის შემდეგ სათავსოების იატაკის დაგვა ისე უნდა მოხდეს, რომ მტვერი არ ადგეს.

33. პრაქტიკული მეცადინეობისას წარმოქმნილი საწარმოო ნარჩენები (ლითონის ბურბუშელა, ხის ნარჩენები და სხვ.), მათი დაგროვების მიხედვით სისტემატურად უნდა იგვებოდეს და გროვდებოდეს მისთვის განკუთვნილ ადგილას.

34. სასწავლო სახელოსნოების სათავსოები უზრუნველყოფილ უნდა იქნენ კეთილხარისხოვანი სასმელი წყლით.

სასმელი წყლის ბაკები დაცულ უნდა იქნენ დაბინძურებისაგან და მოხერხებული წყლის ცვლისათვის. სასმელი წყლის ადგილთან ნესტის წარმოშობა დაუშვებელია.

35. უბედური შემთხვევისას პირველი დახმარების აღმოსაჩენად სასწავლო სახელოსნოში უნდა იყოს აფთიაქი სათანადო სამედიცინო და შესახვევი მასალებით, აგრეთვე მისამართი და ტელეფონის ნომერი იმ სამკურნალო დაწესებულებისა, რომელსაც შეუძლია სამედიცინო დახმარების გაწევა.

36. სასწავლო სახელოსნოებთან უნდა იყოს ხელისაბანი, საპონი და პირსახოცები.

III. უსაფრთხოების ტექნიკის საერთო მოთხოვნები სასწავლო სახელოსნოებში

37. ჩარხები იდგმება მყარ საძირკველზე. ისინი გულმოდგინედ უნდა შემოწმდეს თარაზოსა და შვეულზე და კარგად გამაგრდეს.

38. სართულშორისო გადახურვაზე ჩარხების დადგმისას მათი მონტაჟის შესაძლებლობა გასინჯულ უნდა იქნეს გადახურვის ტექნიკური ანგარიშით.

36. ჩარხები ისე უნდა განლაგდეს, რომ:

ა) მანძილი ჩარხებსა და შენობის უძრავ ნაწილებს (კედლის, სვეტის და სხვ.) შორის უნდა იყოს არანაკლებ 300 მ. თუ მათ შორის არ არის გათვალისწინებული სამუშაო ან მომსახურების ადგილები;

ბ) მანძილი ჩარხებსა და შენობის უძრავ ნაწილებს (კედლები, სვეტები და ა. შ.) შორის უნდა იყოს არანაკლებ 700 მ. მ., თუ მათ შორის არსებული სივრცე გამოიყენება მომსახურების ადგილად;

გ) მანძილი ჩარხებსა და შენობის უძრავ ნაწილებს (კედლები, სვეტები და ა. შ.) შორის უნდა იყოს არანაკლებ 1000 მ.მ., თუ მათ შორის არსებული სივრცე წარმოადგენს სამუშაო ადგილს;

დ) მანძილი ჩარხებს შორის ერთ მწკრივში უნდა იყოს არანაკლებ 500 მ.მ., თუ მათ შორის არ არის გათვალისწინებული ... სავალი;

ე) მანძილი ჩარხებს შორის, მათი არასამუშაო მხრიდან განლაგებისას, უნდა იყოს არანაკლებ 500 მ. მ.;

ვ) ჩარხებს შორის სამუშაო გასავლელის სიგანე, სამუშაო ადგილის ჩაუთვლელად, უნდა იყოს არანაკლებ 1000 მ.მ.;

ზ) სამუშაო ზონის სიგანე, ჩარხის გაბარიტული ფრონტის მთელ სიდიდეზე უნდა იყოს არანაკლებ 750 მ.მ.;

40. ჩარხებს ირგვლივ იატაკი უნდა იყოს სწორი და არა სრიალა.

41. სამუშაო გასავლელის გაბარიტები კარგად უნდა იყოს აღნიშნული.

42. მანქანები, ჩარხები, აგრეგატები და სხვა დანადგარები სანდოდ უნდა იყოს გადაღობილი საფრთხილო ნაწილებსა და ადგილებში.

43. მანქანის, ჩარხისა და აგრეგატის ყოველი არასამუშაო მბრუნავი ნაწილი უნდა იყოს გადაღობილი.

44. ლითონისა და ხის მჭრელი ხელის ინსტრუმენტები უნდა იყოს ბასრად ალესილი.

45. მანქანებისა და ჩარხების მბრუნავ ნაწილებზე ყველა გამამაგრებელი და დასაყენებელი დეტალები (შპონკები, მოსაჭერი ხრახნები და ა. შ.) საჭიროა მომარაგდნენ სადა საფარველებით, ხოლო დასამუშავებელი დეტალების სიღრმეები მყარად გაკეთებული.

46. დაუშვებელია ჩარხების ან მანქანების ნაწილებზე მასალების დალაგება.

47. ჩარხებთან და მანქანებთან, რომლებზედაც მუშაობისას სხვადასხვა მიმართულებით ცვივა ბურბუშელა და დასამუშავებელი მასალის წვრილი ნაწილაკები, უნდა დაიდგას მაგარი ფარები.

48. ჩარხების ნაწილები, აგრეთვე დასამუშავებელი დეტალები, რომლებიც დიდი კუთხური სისწრაფით ბრუნავენ, კარგად უნდა დაბალანსდეს.

49. ჩარხებისა და მანქანების გაზეთვა, გაწმენდა, აგრეთვე დეტალების ან მჭრელი ინსტრუმენტების გამოცვლა უნდა წარმოებდეს ჩარხის ან მანქანის მთლიანი გაჩერების შემდეგ.

50. ჩარხებისა და მანქანების გასაწმენდად გამოყენებული

ჩვრები უნდა ჩაიწყოს თავსახურავიან რკინის ყუთში და თავის დროზე იქნეს გატანილი სახელოსნოდან.

51. სასწავლო სახელოსნოში არსებული მოწყობილობა უნდა იყოს სრულ წესრიგზე, რეგულარულად უნდა ხდებოდეს მათი დათვალიერება.

52. უვარგისი ჩარხები ან მანქანები ისეთ მდგომარეობაში უნდა იყოს, რომ გამორიცხავდეს მათ შემთხვევით გაშვებას მოძრაობაში და ჰქონდეს გაკეთებული გამაფრთხილებელი პლაკატი წარწერით „უვარგისია, გაშვება აკრძალულია“.

53. მთავარი გამანაწილებელი ფარი და ჩამრთველები, რომლებიც კვებავენ საჩარხო მოწყობილობას, მოთავსებულნი უნდა იყვნენ კარადებში ან ყუთებში და იკეტებოდეს. კარადებისა და ყუთების კორპუსები უნდა იქნეს დამიწებული.

გამშვები ჩამრთველები, გამომრთველები, ელექტრომავთულები და სხვა ელექტრომოწყობილობა სრულ წესრიგში უნდა იყოს, ხოლო მათი ღია ადგილები, რომლებიც იმყოფებიან ძაბვის ქვეშ— სათანადოდ დაცული შესაძლებელი შეხებისაგან.

54. ადვილაალებადი ნივთიერებები უნდა ინახებოდეს სპეციალურად შეხამებულ სათავსოებში.

55. დაუშვებელია ჩარხებისა და მანქანების არადანიშნულებისამებრ გამოყენება.

56. ღვედოვანი და კბილოვანი გადამცემები, გადაბმული მუფთები და გადაცემის სხვა საშუალებები, რომლებიც გამოდიან ჩარხის ან მანქანის კონსტრუქციული გაბარიტის გარეთ, დაფარული უნდა იქნეს ღობურებითა და ჩალითით.

57. ჩარხები და მანქანები, რომლებზეც უშუალოდაა დამონტაჟებული ელექტროძრავები ან ელექტროხელსაწყოები, საიმედოდ უნდა იქნეს დამიწებული ან ჩანულებული მოქმედი წესების მოთხოვნათა შესაბამისად.

58. ელექტროინსტრუმენტებით სამუშაოთა შესრულება (სვრეტელა, სახეხი მანქანები და სხვ.) უნდა წარმოებდეს რეზინის ხელთათმანებში და რეზინის ფარდაგზე.

ელექტროინსტრუმენტის კორპუსი, რომელიც 36 ვოლ. ზევით ძაბვაზე მუშაობს, უნდა იქნეს ჩამიწებული.

ელექტროინსტრუმენტის ელექტროწრედში ჩართვა უნდა წარმოებდეს სპეციალური შტეპსელის როზეტის და საკონტაქტო ჩანგლის მეოხებით, რომელიც უზრუნველყოფს ჩამამიწებლ წკირის პირველ რიგში ჩართვას.

59. ელექტროსადენს ელექტროინსტრუმენტთან უნდა ჰქონდეს დამცველი მექანიკური დაზიანებისაგან (მავთულის შემონაჭერი, რეზინის მილები და სხვა).

60. ჩარხებზე მომუშავე მოსწავლეების ტანსაცმელი ისეთ მდგომარეობაში უნდა იყოს, რომ არ მოხდეს მისი ჩარხის მოძრავი ნაწილებისა და დასამუშავებელი მასალისაგან ჩათრევა.

ჩარხზე მომუშავე მოსწავლეთა თმები კარგად უნდა იქნეს შეკრული თავსაფარით და არ ჰქონდეს დაკიდებული ბოლოები.

სახელოსნოებში მუშაობისათვის მოსწავლეებს უნდა ექნეთ ბამბის ქსოვილის ხალათები ან წინსაფარი სახელოებით.

61. ღუმელით გათბობის გამოყენება დასაშვებია ყოველ ცალკე შემთხვევაში ადგილობრივ სახანძრო ზედამხედველობის ნებართვით. ღუმელის საცეცხლე მოთავსებული უნდა იყოს სასწავლო სახელოსნოების გარეთ.

IV. უსაფრთხოების ზომები ლითონის ხელით დამუშავებისა და სამონტაჟო-ასაწყობი სამუშაოების შესრულებისას

62. საზეინკლო დაზგები უნდა იყოს მყარი და საიმედოდ დაყენებული იატაკზე. დაზგის სამუშაო ზედაპირი არ უნდა იყოს გაბზარული ან გაპობილი, საზეინკლო დაზგის ლითონის ფურცლების გარსამოსი უნდა ფარავდეს მას სწორად და არ ჰქონდეს გახეული ადგილები. გარსამოსის კიდეები ჩაკეთებული უნდა იყოს დაზგის მაგიდის ქვემო ნაწიბურში.

63. დაზგის სიმაღლე ისეთი უნდა იყოს, რომ მოსწავლის მოხრილი ხელის ნიდაყვი ეყრდნობოდეს დაზგაზე დაყენებულ საზეინკლო გირაგის სატუჩარის ზედაპირს.

64. თუ დაზგა მაღალია, დასაშვებია სამუშაო ადგილზე ფეხსადგამის დაყენება. ფეხსადგამის ფართობი უნდა უზრუნველყოფდეს ყოველგვარი სამუშაოსათვის საჭირო მოძრაობის შესრულებას, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მისი სიგრძე უნდა უდრიდეს არანაკლებ 800 მ/მ-ს და სიგანე 700 მ/მ-ს.

65. საზეინკლო გირაგების ღერძთა შორის მანძილი დაზგაზე უნდა იყოს არანაკლებ 900 მ/მ. დაზგის გირაგები უნდა იყოს მჭიდროდ დამაგრებული დაზგაზე. გირაგების სატუჩარებს საჭიროა ჰქონდეთ მოუთელავი დევანა.

საზეინკლო დაზგის სიგანე უნდა იყოს არანაკლებ 500 მ/მ-სა. გადმოცვენილი ნამსხვრევებისაგან თავდაცვის მიზნით საზეინკლო დაზგის უკანა მხარეზე დაყენებული უნდა იქნეს

არანაკლებ 700 მ/მ სიმაღლის ბადე არაუმეტეს 3 მ/მ. ზომის უჯრედებით ორივე მხრიდან, დაზგაზე მუშაობისას ასეთი ბადე იდგმება დაზგის შუაში.

66.საზეინკლო დაზგებს შორის მანძილი, თუ მათ შორის განლაგებულია სამუშაო ადგილი, რომლის სიგრძეზე მოძრაობენ ადამიანები, უნდა იყოს არანაკლებ 1800 მ/მ.

დაზგებსა და შენობის კონსტრუქციულ ნაწილებს შორის (კედელი, სვეტები და სხვ.) მანძილი, თუ ამ სივრცეში განლაგებულია სამუშაო ადგილები და საჭიროა ადამიანების მოძრაობა, უნდა იყოს არანაკლებ 1000 მ/მ.

67. საზეინკლო დაზგაზე თავსდება მხოლოდ მოცემული სამუშაოს შესასრულებლად საჭირო ხელსაწყო, რომელიც დაზგაზე უნდა იდოს მოხერხებულად და უხიფათოდ.

68. საგნების, საზეინკლო ჩაქუჩებისა და კვეჟოების ზედაპირი უნდა იყოს ოდნავ ამოზნექილი და საიმედოდ გამაგრებული მტკიცე, ოვალური ჭრილის მქონე ხის სახელურზე. ხელსაწყოს სახელურები უნდა მზადდებოდეს ბლანტი და მაგარი ჯიშის ხისაგან (შვინდი, წიფელა და ა. შ.).

69. ხელსაწყოებს, რომელთაც წვეტიანი ბოლო აქვთ (ქლიბის ბოლოვანა და სხვ.), გაკეთებული უნდა ჰქონდეს სახელური. ისეთი ხელსაწყოთი მუშაობა, რომელსაც სრულად არა აქვთ ან დაზიანებული აქვთ სახელური დაუშვებელია.

70. სარტყამ მჭრელ ინსტრუმენტებს (ღოჯი, მწერტავი, სასვრეტი და სხვ.) ზედაპირის თავზე არ უნდა ჰქონდეს ნაძეგვი.

ღოჯის სიგრძე უნდა იყოს არანაკლებ 150 მ/მ., ხოლო გამოშვერილი მისი ნაწილისა უნდა უდრიდეს 60—70 მ/მ-ს.

ჩაქუჩის დარტყმისაგან მოსწავლეთა ხელის დასაცავად დასაშვებია ღოჯზე რეზინის რგოლის გამოყენება.

71. ფიცხ ლითონებზე ღოჯით მუშაობისას (თუჯი, ბრონზა და სხვ.) გადმოცვენილ ნამსხვრევებისაგან თვალის დასაცავად, გამოყენებულ უნდა იქნეს დამცველი სათვალეები.

72. საქანჩე გასაღები უნდა შეესატყვისებოდეს ქანჩის ზომებს, ჭანჭიკის თავს და არ უნდა ჰქონდეს ბზარი და ნაპობი.

საქანჩე გასაღების ტუჩები უნდა იყოს ზუსტად პარალელური.

გასაწევ საქანჩე გასაღებს არ უნდა ჰქონდეს ლუფტა ჭიახრახნში და მოძრავ ნაწილებში.

73. საქანჩე გასაღების ტუჩებში ქვესადების გამოყენება დაუშვებელია. აკრძალულია ქანჩის მოშვება ღოჯის ან ჩაქუჩის დამარებით, აგრეთვე ოწინარით გასაღების წაზრდის გზით.

74. ლითონის ნახერხისა და ბურბუშელის გასაწმენდად გამოყენებულ უნდა იქნეს საწმენდი ჩოთქი.

ნახერხის, ბურბუშელის ხელით გაწმენდა ან სულის შებერვით გადაყრა დაუშვებელია.

75. ჩარხების ან მანქანების დაშლისას ნაწილები უნდა დაეწყოს მათთვის განკუთვნილ ადგილზე საგანგებო სადგომებით, მყარ მდგომარეობაში.

76. ჩარხის ან მანქანის დაშლამდე მიღებულ უნდა იქნეს ზომები ჩარხის ნაწილების თვითნებური მოძრაობის გასაფრთხილებლად(ელექტრო ქსელიდან გამორთვა, მოძრაობაში მომყვან ღვედების მოხსნა).

77. დასაშლელი ჩარხების, მანქანების ცალკეული ნაწილების ან კვანძის მოხსნა უნდა შესრულდეს სამაგრის თანმიმდევრობით განთავისუფლების გზით, რომელიც იჭერს მოსახსნელ ნაწილს.

78. კვანძებისა და ნაწილების აწყობისას ჭუჭრუტანის, ხვრელის ცენტრირებისას საჭიროა გამოყენებულ იქნეს საგანგებო მოწყობილობანი. ხელით ცენტრირება საგანგებო მოწყობილობის გარეშე დაუშვებელია.

79. ჩარხის, მანქანის ან მექანიზმის აწყობისას უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ასაწყობი ნაწილებისა და კვანძების საიმედო გამაგრება.

80. ჩარხის, მანქანის ან მექანიზმების აწყობისას მიღებულ უნდა იქნეს ზომები იმისათვის, რათა ჩარხის ან მექანიზმის შიგნით არ დარჩეს ხელსაწყოები ან სხვ.

81. აწყობილი ჩარხის, მანქანის ან მექანიზმის სასინჯი გაშვების წინ აუცილებელია, რათა ყველა შემომფარგლავი და დამცველი მოწყობილობანი დაყენებულ იქნენ თავთავიანთ ადგილებზე.

V უსაფრთხოების ზომები ლითონის ჭრით ცივი დამუშავებისას

82. ლითონმჭრელი ჩარხები მოქმედებაში უნდა იქნეს მოყვანილი და გამოყენებული მუშაობისათვის მხოლოდ მასზე მიმაგრებული მოწაფეების მიერ, პედაგოგიური პერსონალის ნებართვით.

83. პედაგოგიური პერსონალი ყურადღებას უნდა აქცევდეს

იმას, რომ ჩარხზე მომუშავე მოწაფე აჩერებდეს მის მოქმედებას მცირე დროით მოშორებისას და აგრეთვე:

ა) მჭრელი იარაღის გამოცვლისას;

ბ) დასამუშავებელი ნაწილის ან მოწყობილობის დაყენების ან მოხსნისას;

გ) დასამუშავებელი ნაწილის საზომი იარაღით გაზომვისას;

დ) ლითონის ბურბუშელის აღებისას;

ე) ჩარხზე მუშაობის დამთავრებისას.

84. ჩარხის მოძრაობის მართვისათვის საჭირო სახელური, მქნევარა ან სხვ. ხელსაწყო ისეთი უნდა იყოს, რომ მასზე მომუშავეს შეეძლოს ყველა ოპერაციის უხიფათოდ წარმოება.

85. ჩარხის სამუშაო მოძრაობის სისწრაფის შეცვლისათვის საფეხუროვან ბორბალზე ღვედის გადატანა დასაშვებია მხოლოდ მისი სრული გაჩერებისას, ხოლო ჩარხის მოძრაობის დროს—მხოლოდ შესატყვისი მოწყობილობის გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს ამ ოპერაციის სრულ უსაფრთხოებას.

86. ელექტროგამშვებ მოწყობილობათა ჭიკარტები, შემთხვევითი დაწოლის თავიდან აცილების მიზნით, ჩაშვებული უნდა იქნეს გასაშვები კოლოფის კორპუსში ან დაცული უნდა იქნეს დამცველი რგოლით. გასაჩერებელ ჭიკარტს უნდა ჰქონდეს განმასხვავებელი წითელი ფერი.

87. ჩარხზე დასამუშავებელი ნაწილები ზუსტად უნდა იქნეს დაყენებული და მჭიდროდ გამაგრებული.

88. ჩარხების გამშვები მოწყობილობანი და მმართველი ორგანოები სრულ წესრიგში უნდა იყოს და გამორიცხავდეს მათი თვითნებურად ჩართვის შესაძლებლობას.

89. ნაწილების დასამუშავებლად გამოყენებული მოწყობილობანი და ჩარხის ნაწილების დამატებითი მოწყობილობანი (გამტარი ხამუთები, კონდუქტორი, ჩარჩო და ა. შ.) უსაფრთხო კონსტრუქციისა უნდა იყოს.

90. ჩარხებს, რომლებზეც მუშაობას თან სდევს ლითონის ნამსხვრევების, ბურბუშელის ან ნაპერწკლების წარმოშობა, თვალის დასაცავად უნდა ჰქონდეს მჭიდროდ მიმაგრებული დამცველი მოწყობილობანი (ეკრანები). ასეთი მოწყობილობის უქონლობისას მოსწავლეები უნდა მუშაობდნენ დამცველ სათვალეებში.

91. ჭრილობის მიღების საშიშროების თავიდან აცილების მიზნით, საჭრელი ადგილი უნდა გაიწმინდოს ბურბუშელისაგან, რისთვისაც თუ მჭრელი ხელსაწყოს კონსტრუქცია არ უზრუნველ-

ყოფს წარმოშობილი ბურბუშელია მსხვრევას და დახვეკას გამოყენებულ უნდა იქნეს სათანადო მოწყობილობანი (კაკვი და ა.შ.).

92. განივ-მრანდავ ჩარხებს (შეპინგები) და ვერტიკალურ მღარავ ჩარხებს წარმოშობილი ბურბუშელასათვის უნდა ჰქონდეთ მიმღები.

93. ჩარხებიდან ბურბუშელის გაწმენდა უნდა სრულდებოდეს შემქუჩებელ-ჩოთქების ან სხვა მსგავსი მოწყობილობით. ბურბუშელის ხელით ჩარხიდან გაწმენდა დაუშვებელია.

94. სამუშაო ადგილები და გასასვლელები შენახული უნდა იქნეს სუფთად და არ უნდა იყოს შეხორგილი მასალებითა და რაიმე ნაწარმით. სამუშაო ადგილზე მასალების დამზადებისა და მზა ნაწარმის დაწყობამ უნდა უზრუნველყოს მათი სიმყარე.

95. მჭრელი და სამაგრი ხელსაწყო უნდა ინახებოდეს სამუშაო ადგილებთან დაყენებულ საგანგებო მაგიდებში, ჩარხების სადგარზე ხელსაწყოს შენახვა, თუ ეს არ არის გათვალისწინებული ჩარხის კონსტრუქციით, დაუშვებელია.

96. ყოველი ტრანსმეისული დანადგარი უნდა აკმაყოფილებდეს იმ მოთხოვნებს, რომელთაც ითვალისწინებს პროფესიონალური კავშირის საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1941 წლის 5 თებერვალს დამტკიცებული „ტრანსმეისიის დაყენებისა და ექსპლუატაციის წესები“.

მუშაობა სახარატო ჩარხებზე

97. ჩარხის საცვლელი კბილანას დაცვა, რომელიც მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, საიმედოდ უნდა ფარავდეს კბილანას და იყოს მოხერხებული ექსპლუატაციისათვის.

98. მუშტა ვაზნის გამოშვერილი ნაწილები, აგრეთვე სამართი ვაზნის ჩარჩიკები დაცული უნდა იქნეს ან უშიშარი იყოს თავისი კონსტრუქციით.

99. ჩარხზე დასამუშავებელი ნაწილების ზუმფარა ტილოთი გაწმენდა ან გახეხვა უნდა შესრულდეს მხოლოდ სამარჯვის დახმარებით.

100. ჩარხის შპინდელის დამუხრუჭება დასაშვებია მხოლოდ საგანგებო სამუხრუჭო მოწყობილობის დახმარებით. ჩარხის შპანდელის ხელით დამუხრუჭება აკრძალულია.

101. ავტომატებსა და რევოლვერულ ჩარხებზე წნელის მასალის დამუშავებისას შპინდელის უკან გამოშვერილი წნელის ნაწილი უნდა მოთავსდეს დახურულ საფარში, რომელიც მუშაობის დროს არ იწვევს მკვეთრ ხმაურს.

102. საჭრისიანების საჭრელი ფირფიტები საიმედოდ უნდა იქნეს დაკავშირებული.

103. კარუსელური ჩარხის პლანშაიბა წრეხაზობრივად უნდა იქნეს დაცული.

მუშაობა საბურღ დაზგაზე

104. საბურღი ჩარხის შპანდელსა და ვაზნას არ უნდა ჰქონდეს გამოშვერილი ნაწილები, თუ ასეთია, იგი დაფარული უნდა იქნეს ჩალითებით.

105. დაცული უნდა იქნეს ჩაბმული ჩარხის გადამცემი კბილანები.

106. ნახვრეტიდან ბურბუშელას მოცილება უნდა წარმოებდეს მხოლოდ ბურღის ბრუნვის შეწყვეტისა და მისი გვერდზე არინების შემდეგ.

107. გაბურღული ნახვრეტიდან ბურბუშელას მოცილება დასაშვებია მხოლოდ ჰაერის ჭავლის (საბერველებით, შეკუმშული ჰაერით) დახმარებით.

ბურბუშელას სულის ჩაბერვით მოცილება დაუშვებელია.

108. დასამუშავებელი დეტალები მჭიდროდ უნდა იქნეს გამაგრებული ჩარხის მაგიდაზე გირაგების კონდუქტორებისა და სხვა საიმედო მოწყობილობათა დახმარებით. ბურღვის დროს დეტალების ხელით შეკავება დაუშვებელია.

109. ბრუნვის დროს ბურღის გამოცვლა შეუძლებელია. იგი, გამონაკლისის სახით, დასაშვებია მხოლოდ უსაფრთხო საცვლელი ვაზნის გამოყენებით.

დასამუშავებელი დეტალის შეცვლისას ბურღი არინებულ უნდა იქნეს გვერდზე.

მუშაობა სარანდ ჩარხებზე

110. განივ-სარანდი ჩარხის (შეპინგი) ცოცია ან სიგრძივ-სარანდი ჩარხის მაგიდის დარტყმებისაგან აცილებისათვის დაყენებულ უნდა იქნეს ისეთი მოწყობილობა, რომელიც დაიცავს მაგიდისა და ცოცია გამოსავლის ზონას სადგარის ზღვარს იქით.

მუშაობა საღარავ ჩარხებზე

111. დაცული უნდა იქნეს გადამცემი ლილვი ვერტიკალურ-საღარავ ჩარხზე.

112. დაცული უნდა იქნეს საღარავი ჩარხის ფრეზის არასამუშაო ნაწილი.

113. საღარავი სამართულის შემკვრელი ხრახნის გამოშვერილი თავი დაცული უნდა იქნეს ჩალითით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობა მაკრატელზე და ხერხზე

114. ფურცლოვანი ლითონის საჭრელი მაკრატელი მომარაგებული უნდა იქნეს მაგიდითა და დამცველი სახაზავით, რომლებიც აგვაცილებს ხელის მოხვედრას დანის ქვეშ.

115. ლითონის საჭრელი მრგვალი ხერხი მთელ არასამუშაო ნაწილზე დაფარული უნდა იქნეს ღობურით.

მუშაობა გამაცივებელი სითხეების გამოყენებით

116. საჭრელ ხელსაწყოსთან გამაცივებელი სითხის მომწოდებელი მილები ისე უნდა იქნენ მოწყობილი, რომ შეიძლებოდეს მათი არინება ან მოყვანა საჭრელი ინსტრუმენტის ზონაში ხელის შეტანის გარეშე.

117. დიდ სიჩქარეებზე ჭრისათვის მომუშავე ჩარხების გამაცივებელი სითხით ან ზეთებით მომარაგება უნდა ხდებოდეს დაფებით, რომლებიც არ დაუშვებენ სითხის ან ზეთის გაშხეფვას ჩარხის გაბარიტს იქით.

118. იატაკზე სითხის დაღვრის თავიდან აცილების მიზნით, მაცივებელი სითხით მომუშავე ჩარხები მომარაგებულნი უნდა იქნენ ქვესადგამებით.

119. მაცივებელი სითხე შეიძლება გამოყენებულ იქნეს რეცირკულაციისათვის მხოლოდ ლითონის ბურბუშელისა და ნახერხისაგან მისი გაწმენდის შემდეგ.

120. ქიმიური რეაქციების გამოყენებისას მაცივებელ ნარევთა შედგენილობა შეთანხმებული უნდა იქნეს სახელმწიფო სანიტარულ ინსპექციასთან.

აბრაზიული ჩარხების მოწყობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების ზომები

121. ჩარხები აბრაზიული ფარგალით უსაფრთხოების მუშაობისას ვიბრაციის (შენჯღრევის) თავიდან აცილების მიზნით, საიმედოდ და მჭიდროდ უნდა დაიდგას შესაფერის საფუძველზე.

122. სალესი და მრანდავი ჩარხები, რომლებიც მშრალი წესით მუშაობენ და მტვრის დიდ რაოდენობას გამოყოფენ მომარაგებული უნდა იქნენ მტვრის გამწოვი მოწყობილობით.

123. ყველა აბრაზული ფარგალი უნდა ჩაისვას ფოლადისაგან ან საქვაბე რკინისაგან გამზადებულ დამცველ გარსაცმში. დამცველი გარსაცმი მჭიდროდ უნდა იქნეს მიმაგრებული ჩარხზე

124. 500 მ/მ დიამეტრის ფარგლის მაქსიმალურად დასაშვები ღრეჩო ახალი აბრაზული ფარგალის პერიფერიასა და დამცველი გარსაცმის შიგა პერიფერიულ ზედაპირს შორის არ უნდა აღემატებოდეს 40 მ/მ. გარსაცმის კედლებს შორის ყველაზე დიდი შიგნითა განი, ფარგლის 300 მ/მ-დე დიამეტრისას, უნდა იყოს ფარგალზე 40 მ/მ-ით განიერი, ხოლო ფარგლის 300 მ/მ-დან 500 მ/მ-მდე დიამეტრისას – 50 მ/მ-ით. დამცველი გარსაცმის გახსნის კუთხე ფარგლისათვის, რომელიც გამოიყენება საჩორტ და სალეს ჩარხებზე, არ უნდა აღემატებოდეს 65⁰-ს.

125. აბრაზიული ფარგალი არ უნდა მაგრდებოდეს ჩარხის ლილვზე ჩასოლვით; ლილვზე მისი დამაგრება უნდა წარმოებდეს მომჭერი მილტუჩით (დისკო) და ქანჩით.

126. მილტუჩას ზედაპირი, რომელიც ეხება ფარგალს, გულდასმით უნდა იყოს დამუშავებული.

127. ორივე მილტუჩას დიამეტრები და მომჭერი ზედაპირები ზუსტად ერთნაირი ზომისა უნდა იყოს, ამასთან მომჭერი ტუჩმილების დიამეტრი უნდა შეადგენდეს ფარგლის დიამეტრის ნახევარს მაინც.

128. მომჭერ მილტუჩებს (დისკო) ცენტრალურ ზედაპირზე უნდა ჰქონდეს ამონაჩარხი, რათა ფარგლის უშუალო ჩაჭერა მილტუჩებით წარმოებდეს თანაბრად წრიულ ზედაპირზე ფარგლის დიამეტრის არაუმეტეს 1/16-ზე.

129. ხელით საბრუნავ სალეს ჩარხებზე დასამუშავებელ ნაწარმის დასამაგრებლად გამოყენებული უნდა იქნეს ხელსაყრდენები. ხელსაყრდენები უნდა იყოს მჭიდრო კონსტრუქციისა და აუცილებლად გადასაძრავები, რათა ფარგლის ამოქმედების საჭიროებისას შესაძლებელი იყოს დაყენება რაც შეიძლება ახლო მანძილზე ფარგლის სამუშაო ზედაპირიდან.

საჩორტნ-სალეს ჩარხზე ორი ხელსაყრდენის არსებობისას თვითეულ მათგანს უნდა ჰქონდეს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი გადასაძრავი.

130. ღრეჩო ხელსაყრდენის კიდეებსა და ფარგლის სამუშაო ზედაპირს შორის უნდა იყოს არაუმეტეს 3 მ/მ-ისა, ამასთან ხელსაყრდენის კიდეს არ უნდა ჰქონდეს ნაღიები ან ნაჯაო.

131. ხელსაყრდენის საყრდენი ზედაპირი უნდა იყოს აბრაზიული ფარგლის ღერძის სიბრტყის ქვემოთ, მაგრამ არა უმეტეს 3 მ/მ-ისა.

132. ფარგლის ყოველი გადადგმის შემდეგ ხელსაყრდენი საიმედოდ მაგრდება შესაფერის მდგომარეობაში. ხელსაყრდენის გადადგმისას ჩარხი მთლიანად გაჩერებული უნდა იქნეს.

133. აბრაზიული ფარგლის ჩარხზე დაყენება უნდა დაევალოთ მხოლოდ საგანგებოდ გამოყოფილ გამოცდილ მუშებს.

134. აბრაზიული ფარგლის ხვრეტილის დიამეტრი უნდა იყოს ფარგლის დიამეტრი რის მიხედვით 0,1—1,0 მ/მ-ით მეტი შპინდელის დიამეტრზე.

135. ფარგლის შპინდელზე ჩამოცმა ადვილად უნდა ხდებოდეს დაწოლის გარეშე; იმ შემთხვევაში, თუ საჭირო შეიქნა ხვრეტილის გადიდება ფარგალში, ამ ოპერაციის შესრულება უნდა წარმოებდეს გალესვის გზით. დაუშვებელია ამ მიზნით ხელის დასაყრდენი იარაღების (ღოჯი, ჩაქუჩი) გამოყენება.

136. მომჭერ მილტუჩებსა (დისკოებს შორის) და აბრაზიულ ფარგალს შორის ორივე მხრიდან უნდა დაიდგას მაგარი მასალის (მუყაოს, ტყავის, რეზინის და ა. შ.) შუასადებები.

შუასადების სისქე უნდა იყოს 0,5-დან 3 მ/მ-დე ფარგალის დიამეტრის მიხედვით.

შუასადები უნდა გამოდიოდეს მთელი წრეწირის გარეთ მილტუჩადან 3—5 მ/მ-ით.

137. დაყენებისას ფარგალი აუცილებლად უნდა იქნეს შემოწმებული და გაწონასწორებული.

138. ჩარხის შპინდელის ბოლოებზე ქანჩის მოსაჭერად შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ქანჩის გასაღები. ამ ოპერაციისათვის დამატებით მოწყობილობათა (მილის ბოლოები და სხვ.) გამოყენება დაუშვებელია.

139. სამუშაო ჩარხზე აბრაზიული ფარგალის დაყენების შემდეგ უკანასკნელი უნდა გაისინჯოს არა ნაკლებ ხუთი წუთის განმავლობაში,ცარიელი მაქსიმალური ბრუნვისას, ამასთან დამცველი გარსაცმი თავის ადგილზე უნდა იყოს.

140. აბრაზიულ ფარგალზე ნაკეთის მიწოდება უნდა ხდებოდეს თანდათანობით, მკვეთრი დაწოლის გარეშე.

141. სველი წესით მუშაობისას:

ა) მაცივებელი სითხის ნაკადი განუწყვეტლივ უნდა ასველებდეს ფარგალს მთელ სიგანეზე და მიიმართებოდეს ნაკეთის ფარგალთან შეხების ადგილისაკენ;

ბ) დაუშვებელია ფარგალის მშრალი მუშაობის შემდეგ უშუალოდ სველ სამუშაოზე გადაყვანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) დაუშვებელია ისეთი ემულსიის გამოყენება, რომელიც მავნედ მოქმედობს შეკრულ ფარგალზე.

142. აბრაზიული ფარგალის გვერდით (ტორსული) ზედაპირებზე მუშაობა დაუშვებელია, თუ ისინი არ არის განკუთვნილი საგანგებოდ მოცემული სამუშაოს სახისათვის.

143. აბრაზიული ფარგლის ბრუნვის რიცხვის კონტროლისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს ბრუნვის აღმრიცხველი.

144. აბრაზიული ფარგლების გამართვა, მათი გაცვეთის შემთხვევაში, უნდა წარმოებდეს მხოლოდ სპეციალური მოწყობილობით, ფრეზის ან ვარსკვლავას, კარბორუნდის ფარგლების, ალმასებისა და სხვ. გამოყენებით. დაუშვებელია აბრაზიული ფარგალის გამართვა ღოჯით ჭდევის გზით.

145. აბრაზიული ფარგალის მუშაობისას ან მის გამართვისას წვრილი ნამსხვრევებისა და მტვრის მოხვედრისაგან მომუშავეთა თვალების დასაცავად, აუცილებელია მომუშავეთა დამცველი სათვალეებით ან ჩარხების დამცველი ეკრანებით მომარაგება. დამცველი ეკრანების კონსტრუქცია უნდა იძლეოდეს მინების სწრაფი გამოცვლის საშუალებას.

146. ყოველ სალეს-სარანდავ ჩარხთან მოწყობილი უნდა იქნეს განათებულობის ნორმების შესაფერისი ადგილობრივი განათება.

147.აბრაზიული ჩარხების მოწყობილობა, აბრაზიული ფარგლების შენახვისა და გამოცდის საშუალებანი უნდა პასუხობდნენ შესაფერისი სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნებს.

VI. უსაფრთხოდ მუშაობის ზომების შესახებ ხის მექანიკურად დამუშავებისას

ზოგადი დებულებები

148. მუდმივი ხის დამამუშავებელი ჩარხები უნდა იდგმებოდეს მყარ საძირკველზე, გულდასმით ისინჯებოდეს თარაზოთი, შვეულით და შემოწმების შემდეგ საიმედოდ მაგრდებოდეს.

149. ხის დამამუშავებელი ჩარხების დანისებრი ლილვები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ პირობებს:

ა) დანისებრი ლილვები უნდა იყოს მრგვალი, ცილინდრული ფორმისა; აკრძალულია პრიზმული ფორმის ლილვები; დაუშვებელია ზესადები ლილვისათვის ცილინდრული ფორმის მიცემა;

ბ) დანის პირის ქვეშ უნდა იყოს ბურბუშელას სამტვრევი;

გ) ლილვას არ უნდა ჰქონდეს ისეთი ნაწილები, რომლებსაც ცენტროდენულ ძალის მოქმედებით შეეძლებათ მისგან გახეცალ კევება;

დ) დანები უნდა იყოს სწორად და საიმედოდ გამაგრებული;

ე) დანისებრი ლილვი უნდა იყოს ზუსტად გაბალანსირებული, ხოლო დანები და სხვა მოსახსნელი ნაწილები გამოკიდებული.

ვ) დანისებრ ლილვებზე უნდა იყოს გამამზადებელი ქარხნის თვალსაჩინო დაღი, რომელზეც ნაჩვენები იქნება ლილვის მაქსიმალურად დასაშვები სამუშაო ბრუნვის რაოდენობა წუთში;

ზ) დანები უნდა იყოს მტკიცე, სადა, დეფექტების გარეშე.

150. ყოველი ხისდამამუშავებელი ჩარხი მომარაგებული უნდა იყოს საიმედოდ მოქმედი მოწყობილობით, რომლის დახმარებით მოსწავლეებს შეეძლებათ სამუშაო ადგილიდან გაუსვლელად სწრაფად გამორთონ ჩარხი. სამუხრუჭო მოწყობილობათა მოქმედება შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ ჩარხის გამორთვის შემდეგ.

151. ხელისა და ყველა მჭრელი ინსტრუმენტი ხის დასამუშავებელ ჩარხზე სწორად გალესილი და ბასრი უნდა იყოს. ყველა ხერხი, გარდა სპეციალური კონსტრუქციის ხერხებისა, გახსნილი უნდა იყოს.

152. მომწოდებელი ლილვები, გორგოლაჭები და სხვ. ხელსაწყოები, ხის დამამუშავებელ ჩარხებზე, მომარაგებული უნდა იქნენ მოწყობილობებით, რომლებიც დაიცავენ მომუშავეთა თითებს. კბილოვანი, ღვედოვანი და სხვა გადამცემები უნდა იქნენ შემოღობილი.

153. ხის დამამუშავებელ ჩარხების მბრუნავ ნაწილებზე გამოშვერილ საგნებს (მომჭერ ჭანჭიკებს ვაზნებზე, საგმანს და სხვ.) სადა ფენილი უნდა ჰქონდეთ.

154. ხის დამამუშავებელი ჩარხები პერიოდულად უნდა მოწმდებოდეს და შემჩნეული უწესივრობანი სასწრაფოდ სწორდებოდეს. შემოწმების ვადები წესდება შინაგანაწესით.

155. ჩარხის ნაწილებზე მასალების დალაგება (მაგიდები, ფილები, შემომფარგლავები) დაუშვებელია.

156. ჩარხებთან, რომელთა მუშაობისას ცვივა ნაჭრები, ბურბუშელა და სხვა უნდა დაიდგას ფარები.

157. ჩარხის ყველა ნაწილი, რომელიც ბრუნავს დიდი კუთხური სისწრაფით, კარგად დაბალანსებული უნდა იყოს.

158. ხის დამამუშავებელ ჩარხებზე სამუშაო მაგიდაზე მეტი სიგრძის საგნების დამუშავებისას ჩარხის წინ და უკან უნდა მოეწყოს საიმედო საყრდენები, თუ თვით ჩარხზე არ არის ამისათვის სპეციალური მოწყობილობა.

159. იმ შემთხვევაში, თუ ხის დამამუშავებელი ჩარხის ლილვზე არის რამდენიმე საჭრისი ან სხვა სამუშაო ხელსაწყოები, შეშინ მათგან ისინი, რომლებითაც ამჟამად არ მუშაობენ, უნდა მოიხსნან, გამოირთონ ან ყრუდ დაიხურონ ბუდეებით.

160. ხის დამამუშავებელი ჩარხების გაწმენდა და დაზეთვა, აგრეთვე ნაწილების ან მჭრელი ხელსაწყოების გამოცვლა, ბურბუშელას და ნახერხის ხელით გასუფთავება უნდა წარმოებდეს მხოლოდ ჩარხის სრული გაჩერების დროს.

161. ხის დამამუშავებელი ჩარხის ირგვლივ იატაკი უნდა იყოს სწორი და არამცურავი.

162. ხის დასამუშავებელი ჩარხების ახლოს ხე-ტყის მასალისა და გადანაყრების დაგროვება დაუშვებელია. აუცილებლობისას, სამუშაოს ხასიათის მიხედვით, ხე-ტყის მასალა უნდა იყოს თვით სახელოსნოში, მისთვის გამოიყოს საგანგებო ადგილი, ამასთან დაწყობილი მასალა არ უნდა ავიწროებდეს ჩარხების თავისუფალ მომსახურებას. ამასთან ერთად მიღებული უნდა იქნეს ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწყობილი მასალის სრულ სიმყარეს. ჩარხებთან მასალის შტაბელის სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მეტრს იატაკიდან. შტაბელები არ უნდა აბნელებდნენ სამუშაო ადგილს.

163. ხის დამამუშავებელ სახელოსნოს სათავსოებში ადვილაალებადი ნივთიერებების შენახვა აკრძალულია.

ადვილაალებადი ნივთიერებების რაოდენობა, რომელიც აუცილებელია უშუალოდ სამუშაოსათვის, შეიძლება იყოს სათავსოში მხოლოდ ჰერმეტიულად დახურულ ჭურჭელში.

164. წებოს, მასტიკისა და საღებავების მოსახარშავად გამოყოფილი უნდა იქნეს ხის დამამუშავებელი სახელოსნოდან იზოლირებული, სათანადო ვენტილაციის მქონე სპეციალური სათავსო;

165. ხის დამამუშავებელი სახელოსნოების სათავსოებში დასაშვებია წებოს შეთბობა მხოლოდ ორთქლით ან ელდენით.

166. მანძილი ცალკეულ ჩარხებს შორის მწკრივში, აგრეთვე ჩარხებისა და შენობის ნაწილებს (კედლები, სვეტები) შორის, თუ მათ შორის არ არის განლაგებული სამუშაო ადგილები, მათი განაპირა გაბარიტიდან ჩათვლით, უნდა იყოს არანაკლებ 800 მ/მ-ისა.

167. სამუშაო ადგილების სიგანე, ჩარხის განაპირა გაბარიტიდან ჩათვლით, უნდა იყოს არანაკლებ 750 მ/მ-ისა.

168. მთავარი გასავლის სიგანე უნდა იყოს არანაკლებ ორი მეტრისა.

169. ყოველ ხის დამამუშავებელ ჩარხთან გათვალისწინებული უნდა იყოს ადგილი მასალებისა და მზანაკეთის შესანახავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობა მრგვალ ხერხზე

170. ხერხის დისკოს ზედაპირი სადა უნდა იყოს. ხის მიწოდება მრგვალ ხერხებზე ხის სიგრძეზე დასახერხად და ჰორიზონტალურ და დახრილ მრგვალ ხერხებზე, ყველა შემთხვევაში, მექანიზებული უნდა იყოს, თუ ტექნიკური პირობებით ეს შესაძლებელი აღმოჩნდება.

171. აკრძალულია გამორთული ხერხის გაჩერება დამუხრუჭებით, მასზე გვერდითი დაწოლის ან ხის ნაჭერის ხელით დაწოლის საშუალებით, როდესაც ის კიდევ ბრუნავს.

172. ხერხის კბილების მოძრაობა საზიდ ხესთან ერთად მიმართული უნდა იყოს ზემოდან ქვემოთ.

173. ხერხის დისკოს ნახვრეტს მაგიდაში უნდა ჰქონდეს ნამდვილი სწორკუთხოვანი ჭუჭრუტანის ფორმა. ნახვრეტის სიგანე უნდა იყოს 2—3 მ/მ-ით მეტი კბილების გასაყარის სიგანეზე.

174. მაგიდის ზემოთ არსებული ხერხის ნაწილი შემოფარგლული უნდა იყოს მყარი დამცველი ხუფით, რომლის გადასატანი ხერხის დისკოს სიბრტყის მიმართულება ისე იქნება, რომ შეიძლებოდეს მისი იმდენად დაშლა-დაყენება, რამდენის შესაძლებლობასაც იძლევა დასახერხი მასალის სისქე. 500 მ/მ-ზე მეტი დიამეტრის ხერხებზე, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა სისქის ძელების დასახერხად, აუცილებელია გამოყენებული იქნეს დამცველი ხუფი ავტომატურად, რომელიც ეშვება დასახერხ ხეს.

175. ხერხის ქვემო, არა მუშა ნაწილი, უნდა დაიხუროს ორი დამცველი დაფით, რომლებიც დაცილებული იქნება ერთი-მეორისაგან არა ნაკლებ 100 მ/მ-ით და გამოვა კბილების წვეროს ხაზიდან არა ნაკლებ 50 მ/მ სიდიდით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სავენტილაციო მიმღების მოწყობისას არ იდგმება დაფები, რომლებიც მთლიანად ხურავს ჩარხის მაგიდის ქვეშ არსებული ხერხის დისკოს ნაწილს.

176. ხერხის დისკოს უკან მაგრად უნდა იქნეს დაყენებული გამსოლავი დანა. მანძილი დანასა და ხერხის დისკოს შორის არ უნდა აღემატებოდეს 10 მ/მ განახერხის სიმაღლეს. ამ მოთხოვნის დაცვისათვის ხერხის დისკოსაკენ მიმართული დანის პირი უნდა იყოს რკალისებრი ხერხის კბილების პერიფერიისაკენ.

177. გამსოლავი დანა დაყენებული უნდა იქნეს ხერხის დისკოს სიბრტყის გაგრძელებით და ჰქონდეს მოწყობილობა დანის გადასანაცვლებლად და გასამაგრებლად ხერხის დისკოს დაწესებული დიამეტრის მიხედვით.

178. გამსოლავი დანის სისქე უნდა იყოს არანაკლებ კბილების გასაყარის სიგანისა და არაუმეტეს განახერხის სიგანისა. გამსოლი დანა 20 მ/მ უნდა აღემატებოდეს განახერხის სიმაღლეს. დანის სიგანემ უნდა უზრუნველყოს მისი სიმტკიცე გვერდითი დაწოლის წინააღმდეგ.

179. აკრძალულია გამსოლავ დანაზე შემფარგლავ და სხვა მოწყობილობათა დამაგრება.

180. გრძივი მრგვალი ხერხი უნდა მომარაგდეს მოწყობილობით მასალის უკან გამოგდების წინააღმდეგ.

181. დახერხვის უკანასკნელ მომენტში მასალის გადაძრავებისათვის გრძივი მრგვალი ხერხი მომარაგებულ უნდა იყოს საბიძგელით, რომელიც მოვა მოძრაობაში ხელით ან პედალით.

182. აკრძალულია პატარა ხის ნაჭრების თამასად, ლარტყად, სოლებად, ძელუკებად და მაგვარ ნაკეთად დახერხვა მიმმართველ და მაბიძგებელ მოწყობილობათა გამოუყენებლად.

183. ხერხის დისკოს გაწმენდა მისი მოძრაობის დროს დაუშვებელია.

184. მიმმართველ სახაზავებს უნდა ჰქონდეთ საიმედო სამაგრი, რომელიც არ დაუშვებს სახაზავის თვითნებურ გადაადგილებას.

185. ხერხის დისკო ბზარებით ან ჩამოტეხილობით, აგრეთვე მოტეხილი კბილებით სამუშაოდ არ დაიშვება.

186. დაუშვებელია დისკოს ვიბრაცია და არათანაბარი ბრუნვა.

187. ხერხის დისკო დამაგრებული უნდა იყოს სამუშაო ლილვზე სავსებით ერთნაირი დიამეტრის მომჭერი მილტუჩის საშუალებით, რომელიც დამუშავებულია წრიული ზედაპირით და მიმართულია დისკოს ზედაპირისაკენ.

188. ხერხის დისკოს კბილები ყოველთვის ბასრად გალესილი და სწორად გადაყრილი უნდა იყოს. ყველა კბილის მწვერვალი უნდა იყოს წრეხაზზე, რომლის ცენტრი ზუსტად დაემთხვევა მუშა ლილვის ღერძს.

189. გაყრისი ორივე გვერდზე ერთნაირი უნდა იყოს. გაყრის სიგანე არ უნდა აღემატებოდეს დისკოს ორმაგ სიგანეს.

190. ყოველ დისკოზე უნდა იყოს კარგად დასანახავი და წაუშლელი დამამზადებელი ქარხნის მიერ დასმული დაღი, რომელიც მიუთითებს დისკოს კბილების მწვერვალის ყველაზე დიდ დასაშვებ სისწრაფეს გარშემოწერილობაზე.

მუშაობა ლენტურ ხერხებზე

191. ხერხის ლენტის მოძრაობა საზიდ ხესთან ერთად მიმართული უნდა იყოს ზემოდან ქვემოთ.

192. ყველა ჩარხი ლენტა ხერხებით უნდა იქნენ მომარაგებული სწრაფმოქმედ სამუხრუჭო მოწყობილობით. ლენტა ხერხის სადგარი მუშაობის დროს არ უნდა ახდენდეს ვიბრაციას.

193. ხერხის ლენტის გამომავალი ნაწილი ლენტის მოძრაობის მიმართულებით უნდა იყოს შემოფარგლული გადასასმელი დამცველი ბუდით და დაყენებული იმდენად დაბლა, რამდენადაც ნებას იძლევა დასახერხი ხის სისქე.

194. ხერხის ლენტას აღმავალი ნაწილი დახურული უნდა იქნეს უძრავი მთლიანი დამცველი ბუდით, რომელსაც ექნება გასახსნელი ნაწილი იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს ლენტის გამოცვლა გადაღობილის მოუხსნელად. ბუდის კარები საიმედოდ უნდა იკეტებოდეს.

195. ლენტა ხერხიანი ჩარხის ზედა ბორბალი დახურული უნდა იყოს ზემოდან მტკიცე რკალისებრი რკინის ზოლიან ან სხვა კონსტრუქციის ღობით, ხერხის ლენტის გაწყვეტის შემთხვევისათვის, ხოლო განივ გვერდებიდან მთლიანი დამცველი დაფით.

196. ლენტის ხერხიანი ჩარხის ქვემო ბორბალი უნდა იყოს დახურული გარეთა გვერდებიდან მთლიანი დამცველი ჩალითით.

197. ყველა ლენტა ხერხი ლენტას გამომავალ ნაწილზე მომარაგებული უნდა იყოს გადასაადგილებელი ხელსაწყოებით მიმართულებისა და ხერხის ლენტას უკანა ნაწიბურის დასაყრდენად მის შესავალთან ხეში. ლენტა ხერხი მომარაგებული უნდა იყოს მიმმართველი და დასაყრდნობი მოწყობილობებით შაბლონის ან სახაზავის სახით.

198. ხერხის ბორბალი კარგად უნდა იქნეს დაბალანსებული; იგი ორივე ბორბლის ღერძების პარალელური უნდა იყოს.

199. ხერხის ქვემო ბორბლის აღმავალი ნაწილი უნდა იყოს მომარაგებული საიმედო მუსით.

200. ხერხის ლენტას რტყელა უნდა იყოს სადა (ამობერილობისა და ღრმულების გარეშე) და არ ჰქონდეს ბზარები და მოტეხილი კბილები.

201. ხერხის ლენტას ყველა კბილი კარგად უნდა აილესოს და მათი მწვერვალი განლაგდეს ერთ სწორ ხაზზე. კბილებს შორის უბეები მომრგვალებული უნდა იყოს.

202. კბილების გადაღუნვა ორივე მხარეზე უნდა იყოს სავსებით ერთნაირი, ამასთან კბილების ღუნვის ხაზით—ლენტას უკანა ნაწიბურის პარალელური.

203. ხერხის ლენტას რჩილვა უნდა იყოს მტკიცე და სადა. რჩილვის ადგილის მოქლონვა დაუშვებელია. შეკავშირებული ხერხის ლენტები უნდა იყოს საიმედოდ დალაგებული ან ჩამოკიდებული.

მუშაობა სარანდავ ჩარხებზე

საშალაშინო ჩარხი (მომრგებ-სარანდავი)

204. სარანდავი ჩარხების მაგიდების ხვრელის კიდეები უნდა იყოს მომარაგებული ფოლადის მახვილად დაცერებული ზესადგამით ისე, რომ მანძილი ზესადგამის კიდეებსა და ზედაპირს შორის, რომელიც მოიხაზება დანის პირით, იყოს არაუმეტეს 2—3 მილიმეტრისა.

205. 400. მ/მ-ზე ნაკლები სიგრძისა და 70 მ/მ. ნაკლები სისქის საგნების მომრგებ-სარანდავ ჩარხზე (გამაშალაშინებელი) გარანდვისას, ხის ხელით მიწოდების დროს, აუცილებელია დასამუშავებელი მასალის მისაწოდებლად ვისარგებლოთ განსაკუთრებული კალაპოტებით—საბიძგებლებით.

206. საშალაშინო ჩარხზე ფასონური რანდვა აკრძალულია.

207. საშალაშინო დაზგის ხვრელის მუშა ნაწილი დაკეტილი უნდა იყოს ავტომატურად მოქმედი ღობით, რომელიც საშუალებას მისცემს მუშას შეასრულოს ყველა ჩარხისათვის დასაშვები სამუშაოები.

208. საშალაშინო ჩარხის ხვრელის არამომუშავე ნაწილი უნდა იყოს გულდასმით და მთლიანად დახურული მიმმართველი სახაზავის ყველა მდგომარეობაში.

209. მიმმართველი სახაზავი საიმედოდ დამაგრებული უნდა იყოს.

210. საშალაშინო დაზგებზე მასალის მრუდწრიული ფორმის გასალაშინებისას მუშაობა უნდა წარმოებდეს სპეციალურ შაბლონებში.

211. 400 მ/მ-ზე მოკლე საგნების დასტობით გაშალაშინებისას აუცილებელია გამოვიყენოთ განსაკუთრებული საბიძგებლები ყუთის, ჩარჩოს და სხვ. სახის მიმჭერებით, რომლებიც სავსებით

შეცვლიან მოსწავლის ხელების ძალით მიჭირებას ჰორიზონტალური მიმართულებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

212. მაგიდის უკანა ნახევარი უნდა იმყოფებოდეს სამუშაო მდგომარეობაში ერთ ჰორიზონტალურ სიბრტყეზე დანის პირთან უმაღლეს წერტილში.

213. საშალაშინო ჩარხების მიმწოდებელი მექანიზმები წრედის ავტომატური მიწოდებით, მიმჭირებელი გორგოლაჭი და სხვ. უნდა იყოს შემოფარგლული.

214. აკრძალულია საშალაშინო ჩარხზე სხვადასხვა სისქის საგნების ერთდროული გაშალიშინება ავტომატური მიწოდებით.

მუშაობა საფხაჭ ჩარხზე

215. დანისებრი ლილვი უნდა იყოს დაკეტილი ზემოდან და მთლიანი ღობით წინიდან.

216. საფხაჭი ჩარხის დანისებრ ბორბლის წინ უნდა იყოს წინა მიმჭერი, უმჯობესია სექციური, ხოლო დანისებრ ლილვის უკან-უკანა მიმჭერი.

217. საფხაჭი ჩარხები მომარაგებული უნდა იქნენ მოწყობილობით, რომელიც აგვაცილებს დანით მასალის უკან გადასროლას.

218. წინა და უკანა ლილვაკების ღერძებს შორის გაორკეცებულ მანძილზე ნაკლები ზომის ნაწილების დამუშავება საფხაჭ ჩარხზე დაუშვებელია სპეციალური მოწყობილობის გარეშე, რომელიც შემოფარგლავს ჩარხზე მომუშავეს.

219. ღარული ლილვაკები არ უნდა იყოს გაბზარული. არ უნდა ჰქონდეს ამოცვენილი კბილები და გაცვეთილი ზედაპირი.

220. დაუშვებელია საფხაჭ ჩარხზე ერთდროულად ისეთი საგნების დამუშავება, რომელთა სისქის სხვაობა აღემატება 1,5 მ/მ-ს.

221. შენახვისა და გადატანის დროს დანის პირი დახურული უნდა იყოს ბუდით მთელ სიგრძეზე.

222. ლილვზე დანების დაყენებისას დანის პირი არ უნდა ამოდიოდეს 2 მ/მ-ზე მეტით.

223. ყველა დანის პირი უნდა იყოს ერთ ცილინდრულ მრგვალ ზედაპირზე, რომლის ღერძი ზუსტად უნდა ემთხვეოდეს მუშა ლილვის ღერძს.

224. დაუშვებელია დანების ქვეშ ქვესადგამის გაკეთება.

225. დანების ქანჩის ჩახრახნის ან ხრახნის გზით მიმაგრება

წარმოებს საგანგებო გასაღებით, დაწყებული საშუალო ქანჩებიდან ან ხრახნებისაგან, თანდათანობით ლილვის ბოლომდე. მიმაგრების შემდეგ შემკვრელი უნდა გაისინჯოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბურღი ჩარხები

226. საბურღი ჩარხების ბურღების ვაზნებს უნდა ჰქონდეს სადა ზედაპირი. დაუშვებელია ისეთი ვაზნების გამოყენება, რომელთაც აქვთ გამოშვერილი დასაყენებელი თავი.

227. ჰორიზონტალური საბურღი ჩარხები მომარაგებული უნდა იყოს ნალოებით ბურღზე ხის დასაყენებლად.

228. ხის კილოებისა და ბუდეების გაბურღისას აუცილებელია სპეციალური ბურღების გამოყენება.

229. ბურღები უნდა იქნეს მომარაგებული ღობით.

230. ბურღის ღობე ისეთი კონსტრუქციისა უნდა იყოს, რომ ხეში ბურღის გაღრმავებისას ღობე ფარავდეს ბურღის ზემოთ დარჩენილ ნაწილს, ხოლო ბურღის ხვრელიდან ამოსვლისას ფარგლავდეს მთელ ბურღს.

231. დასამუშავებელი საგანი მჭიდროდ უნდა იქნეს მიმაგრებული ჩარხზე.

232. მრავალშპინდელიანი საბურღი ჩარხების ცალკეული იარაღები, რომლებიც არ მონაწილეობენ მუშაობაში, მაგრამ ბრუნავენ, უნდა იქნენ შემოფარგლული.

233. კოჭებისათვის განკუთვნილი გასაბურღი კოპიტულა მუშაობის დაწყებამდე გულმოდგინედ უნდა გაისინჯოს, რათა ის, რომელიც გაუმართავი და გაბზარულია თავიდან იქნეს მოცილებული.

234. კოპიტულას გაბურღვა და შემოხარატება საჭიროა წარმოებდეს ავტომატურ ჩარხზე.

სახეხი ჩარხები

235. საზუმფარო ჩარხებზე მუშაობისას დასამუშავებელი საგნის მისაწოდებლად და დასაკავებლად გამოყენებულ უნდა იქნეს კალაპოტები.

236. ყველა საზუმფარო ჩარხი მომარაგებულ უნდა იქნეს მუშაობისას წარმოშობილი მტვერისა და ნაწილაკების შემწოვი მოწყობილობებით.

237. დისკო მთელ გარშემოწერილობაზე და არამუშა ზედა-

პირზე დაფარული უნდა იქნეს მტკიცედ, დაწესებული ღობით, მუშაობისათვის აუცილებელი ნაწილის დატოვებით.

238. დისკოიან სახეხ ჩარხებზე მტკიცედ უნდა იქნეს მიმაგრებული საყრდენი მმართველი სახაზავები, მაგიდები და ხელსაყრდენები. ღრეჩოს ზომა დისკოს სამუშაო ზედაპირის სიბრტყიდან უნდა იყოს არა უმეტეს 3 მ/მ-ისა.

239. ზუმფარა დისკოზე უნდა დამაგრდეს ნაოჭებისა და ბორცვების გარეშე, იგი მტკიცედ მაგრდება დისკოზე მიმჭირებელი რგოლის საშუალებით.

240. ზუმფარის ზედმეტი ბოლოები, მათი ჩარხზე დამაგრების შემდეგ უნდა მოიჭრას.

სახარატო ჩარხი

241. მძიმე ან შეწებებული საგნების ცენტროებზე დაყენებისას, მათი ცენტროებიდან გამოვარდნის აცილების მიზნით, აუცილებელია გამოყენებულ იქნეს ლითონის საყრდენი ფირფიტები, როგორც უკანა ცენტროსათვის, ისე წინა სავარცხლისათვის.

242. ფირფიტის ჩახრახნის შემთხვევაში, ხრახნები არ უნდა ჩაიხრახნოს ხის ტორსში. ტორსული ზედაპირისათვის საჭიროა გამოყენებული იქნეს ფირფიტები კოტებით.

243. რამდენიმე ნაწილისაგან შეწებებული საგნების ჩარხზე დაყენებამდე უნდა გაისინჯოს შეწებების სიმტკიცე. შეწებებული ნაწილები შეერთებული უნდა იყოს კაკვების ჩასობის საშუალებით.

244. სახარატო ჩარხები მომარაგებული უნდა იყოს ხელსაყრდენებით ჩარხის ჰორიზონტალური და ვერტიკალური მიმართულებით გადასაადგილებლად, აგრეთვე მუშაობისათვის საჭირო მდგომარეობაში დასაყენებლად.

245. უკანა ვეგის ცენტროს ყოველთვის კონუსური ფორმა უნდა ჰქონდეს.

VII უსაფრთხოების ზომები ხელით ხის დამუშავებისას

246. ჩაქუჩები, კვეჟოები და ნაჯახები მტკიცედ უნდა იქნენ გამაგრებული მაგარი ბლანტი მასალისაგან გამზადებული ოვალური მკვეთის სახელურებზე, სწორად იქნენ გასოლილი საცმ ადგილებზე.

247. ხვეწსა და სატეხს მტკიცედ უნდა ჰქონდეს ჩამოცმული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგარი და ბლანტი მასალისაგან გაკეთებული ოვალური ფორმის სახელურები, გაბზარული და გახლეჩილი ბოლოების გარეშე.

248. ქლიბებს, სადგისებს და სახრახნისებს უნდა ჰქონდეს დაწესებული ფორმის მტკიცედ მორგებული სახელურები.

249. მშვილდისებრ ხერხების რტყელას ბოლოები მჭიდროდ უნდა იყოს გამაგრებული, ხერხის სახელურს უნდა ჰქონდეს სწორკუთხოვანი კვეთი მომრგვალებული კუთხეებით. ზონარმა უნდა უზრუნველყოს რტყელას საჭირო გაჭიმვა.

250. სარანდავ ხელსაწყოებს წინა ნაწილში უნდა ჰქონდეს ბუკი ან ამონაღები (სანარიმანდე რანდა, სათელი და სხვ.). უკანა ნაწილი უნდა იყოს გამრგვალებული, სადა. შალაშინის გახლეჩისას ის სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს ახლით.

251. შალაშინის სახელური მოხერხებული უნდა იყოს ხელში დასაჭერად.

252. დაზგის ზედა ფიცრის სამუშაო სიბრტყე უნდა იყოს სწორი და სადა, ბზარისა და ნახეთქის გარეშე. ხის პალოები (ბანკეტი) მორგებული უნდა იყოს ბუდეებთან.

დაზგის ხრახნები მომარაგებული უნდა იქნეს სპეციალური გასაღებებით (ნაგრეხით). აკრძალულია გასაღების მაგიერ გადანაჭრების, ხვეწის, ქლიბებისა და სხვ. გამოყენება.

დაზგის სიმაღლე განისაზღვრება მომუშავის სიმაღლის ნახევრით. თუ დაზგის მოწყობილობა არ იძლევა ამის საშუალებას მაშინ დაზგასთან იდგმება ფიცარნაგი, რომლის ფართობი უნდა იყოს ისეთი სიდიდისა, რომ არ ავიწროებდეს სამუშაო მოძრაობებს (სიგრძეზე არანაკლებ 1,25 მეტრ., სიგანეზე—0,6 მეტრ.).

253. მანძილი დაზგებს შორის უნდა იყოს არანაკლებ 750 მ/მ-ისა.

254. დაზგაზე მასალის დამუშავებისას ის მჭიდროდ უნდა გამაგრდეს.

255. დაზგაზე უნდა იყოს მხოლოდ ხელსაწყო, რომელიც საჭიროა სამუშაოთა წარმოებისათვის. მისი განლაგება მოხერხებული და უხიფათო უნდა იყოს.

VIII დასკვნითი დებულებები

256. ეს წესები შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

257. თუ ზოგიერთი ზემოხსენებული წესის შესრულება დაკავშირებული იქნება კაპიტალურ დაბანდებასთან, ისინი შედიან ძალაში სკოლის ადმინისტრაციის ან სახალხო განათლების განყო-

ფილებათა მიერ დაწესებულ ვადებში, პროფკავშირის ცკ-ის ტექ-ნიკურ ინსპექტორთა და სახელმწიფო სანიტარულ ზედამხედველობის ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით.

258. დამნაშავენი ამ წესების დარღვევაში მიეცემიან პასუხისგებაში სასამართლოს ან ადმინისტრაციული წესით თანახმად მოქმედი კანონმდებლობისა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
სკოლების სამმართველო

უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესები გადმოქართულებულია და შესწორებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სასკოლო ჰიგიენისა და ფიზიკური აღზრდის სექტორში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

1. ბრძანება № 900—საბავშვო სახლებში 1959 წლის II კვარტალში ჩატარებული შემოწმების შედეგების შესახებ 3
2. ბრძანება № 923—საბავშვო ბაღებში 1959 წლის II კვარტალში ჩატარებული შემოწმების შედეგების შესახებ 8
3. ბრძანება № 950—სკოლების, სკოლა-ინტერნატების, პედინსტიტუტებისა და საბავშვო დაწესებულებათა მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ 11
4. ბრძანება № 955—საწარმოო სწავლების საშუალო სკოლების აგრონომ და ინჟინერ მასწავლებელთა პედაგოგიური მინიმუმის კურსსემინარების მოწყობის შესახებ 18
5. ბრძანება № 1056—საბავშვო ბაღების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 20
6. მიმართვა № 1067—სამუშაოზე მოწყობისა და უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში შესასვლელად საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის დახასიათება—რეკომენდაციების გაცემის წესის შესახებ 24
7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლებსა, სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში მოსწავლეთა თვითმომსახურების შესახებ 25
8. უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესები საშუალო და რვაწლიანი სკოლების სასწავლო სახელოსნოებში 31

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი მ. ბურჭულაძე
კორექტორი ე. აგლაძე

გადაეცა წარმოებას 7/IX—59 წ., ანაწყობის
ზომა 6×10, ქაღალდის ზომა 60×84,
სასტამბო ფორმათა რაოდენობა 3,75
შეკვ. № 1074, ტირაჟი 5000

უ ფ ა ს ო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა.
თბილისი, უშ. ჩხეიძის ქ., № 19.

Типография Министерства просвещения Груз. ССР.
Тбилиси, ул. уш. Чхеидзе. № 19.